



ბრძოლის კვამლე

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტის.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე.

Directeur C. Gvardjaladze.

შინაარსი: 1) კ. გ.—წერილი ერების შიში; 2) გ-ლა—საქართველო გაზაფხულში; 3) გრ. ურბაძე—26 მაისის პირველი წლის თავი; 4) ჯ.—ვერობა და საბჭოთა კავშირი; 5) პ. სარჯველაძე—დიდი საქმე; 6) კ. გ.—სოციალისტური ინტერნაციონალი; 7) ვინ—ნანტის კონგრესი; 8) გრ. ურბაძე—ზოგი რამ; 9) ვლ. შველაძე—სახოვადობრივი მოძრაობა საქართველოში; 10) ი. ხარშივლი—ქალთა შრომა საქართველოში; 11) გ. უ.—საინტერესო ლექცია; 12) პ.—ემბერაციაში; 13) X.—26 მაისი პარიზში; 14) კარლო ჩხეიძის წლის თავი. და სხვ.

წაკრილი ქარების შიში

მეტად რთულ და მიიმე პირობებში იმყოფება დღეს მთელი კაცობრიობა. ევროპის დიდი სახელმწიფონი ერთმანეთის წინააღმდეგ არიან ამხედრებული და მსოფლიო გეგეგმონისათვის იბრძვიან.

ეკონომიური მეტოქეობის ნიადაგზე კაპიტალისტური ქვეყნები წინედაც ებრძოდნენ ერთმანეთს და ამ ბრძოლაში მათი შეტაკებებით ხშირად სუსტნი იყვლიტებოდნენ და ნადგურდებოდნენ. სწორედ ასეთი მეტოქეობა არის მთავარი მიზეზი დღევანდელი აფორიაქებული მდგომარეობის და მოსალოდნელი საომარი მოქმედების.

ევროპის სახელმწიფონი რომ დღეს ერთმანეთს დაეტაკონ, ეს იქნებოდა არა თუ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ადამიანთა შრომით დაგროვილ დოვლათის განადგურება და კაცობრიობის კულტურის ათეული წლებით უკან დახევა, არამედამას შეიძლება შედეგათ მოყვას ბევრი პატარა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაკარგვა.

თმი შეიძლება დღეს გახდეს მიზეზი ევროპის წერილ და თავისუფალ ერების თავისუფლების და კარგვის, თუმცა წარსულში ყოფილა შემთხვევები, როცა ომის და რევოლიუციის შემწეობით განთავისუფლებულან დაპყრობილი და ჩაგრული ერები. ვიციით, რომ დიდი ომის და მის წილში აღმოცენებულ რევოლიუციების შედეგად, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში, თითქმის ყველა ჩაგრული ერები განთავისუფლდნენ. მხოლოდ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მოსკოვმა ხელახლად დაიმონავა და შეიერთა ის

ერები, რომელნიც დიდი რევოლიუციის ხანაში განთავისუფლდნენ.

დღეს კი უდიდესი საშიშროება მოელის აგრეთვე ევროპის წერილ და თავისუფალ ერებს დიდი სახელმწიფოების ერთმანეთ შორის დატაკების შესაძლებლობით.

ზოგ სახელმწიფოთ უკვე დიდი ხანია ყოველგან მთავარი და მნიშვნელოვანი ადგილები აქვთ დაკავებული და მთელი შინაური, თუ უცხო ბაზარი ხელთ უპყრიათ. ესენი არიან უმთავრესად დემოკრატიული ქვეყნები, ეკუთვნიან კმაყოფილ სახელმწიფოთა რიცხვს და არსებული მდგომარეობის შენარჩუნების და მშვიდობიანობის მომხრენი და დამცველი არიან. მაგრამ მეორე მხრივ არიან ქვეყნები, რომელნიც არ არიან კმაყოფილი მათი დღევანდელი მდგომარეობით და მოითხოვენ თავისათვის არა მხოლოდ მეტ ეკონომიურ უპირატესობას, არამედ მათთვის მეტ ტერიტორიის მიმოიგვენას და გადაცემას, ან, როგორც დღეს ამბობენ, მეტ «საცხოვრებელ არეს». ასეთი რამის მიღწევა კი ტოტალიტარულ ქვეყნებს არ მიაჩნიათ შესაძლებლად მშვიდობიანი გზით და შორიგებით, ამიტომ ცდილობენ ისინი ყველაფერი ეს მოიპოვონ ძალის და ბრძოლის საშუალებით.

დიდი შეცდომა იყო, რომ გამარჯვებულ ქვეყნებმა დროზე და თავის ინიციატივით არ დააკმაყოფილეს გერმანიის ზოგი სახესებით სამართლიანი მოთხოვნები. ამას შედეგათ მოყვა ის, რომ გერმანელი ხალხის უკმაყოფილებით მოხერხებულად და თავისებურად ისარგებლეს უკიდურეს ნაციონალ-

ლისტურ წრეებში და შინ ბრძოლა მოიგეს. ხელა ამ წრეებს მოქმედება საგარეო ასპარეზზე აქვთ გადატანილი და იქ უნდათ სხვებზე გამარჯვება და ბრძოლის მოგება.

რასიტების თეორიით გერმანელი ვრი ყველა სხვა ერებზე ყველაფრით უფრო მაღლა სდგას და ამიტომ მათი ამბიციები და ინტერესები შესაფერი-სად უნდა იქნას დაკმაყოფილებული. მათთვის ყოველად მიუღებელია, რომ გერმანიას და მის რჩეულ რასას ყოველივე მხრივ პირველი ადგილი არ ეჭიროს და სხვებთან შედარებით ის არ იყოს დაწინაურებული. ხოლო მდგომარეობა დღეს კი ისეთია, რომ გვეგმონია ხელთ უპყრია არა გერმანიას არა გუნდ სხვა დიდ სახელმწიფოებს. რომელიც შორის. მასსაკუთრებით, ძლიერია დიდი ბრტანეთის იმ პერია. ვასაგებია, თუ რატომ დღეს საერთაშორისო ასპარეზზე უმთავრესად ინგლისი და გერმანია არიან ერთი მეორის წინააღმდეგ დაპირდაპირე ბულო.

სწორედ მგზავს მოვლენას ჰქონდა ადგილი ამ 25 წლის წინეთ, როცა ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს ექიმებოდენ და მათ შორის სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა პირველობის და მსოფლიო ბატონობისათვის.

ამ კონფლიქტს საბაბი მიეცა შემთხვევით ბალკანეთში, სადაც დიდი ქვეყნები თავიანთ გავლენის გასამტკიცებლად იმ ბროს დიპლომატიური და პოლიტიკური ინტრიგების ფართო ქსელს აბამდენ. ბალკანეთის ქვეყნები ვახდა მაშინ მსხვერპლი დიდი სახელმწიფოების ერთმანეთ შორის მეტოქეობის და ინტრიგებისას.

დიდი სახელმწიფოები ბალკანეთის ქვეყნებში აღესაც აწარმოებენ ერთი მეორის საწინააღმდეგე მუშაობას. თვითაფუილი მათგანი ამ ქვეყნებს თავისკენ ეწიწება და ცდილობს მათ გამოყენებას და სარგებლობას.

ზოგი დღეს, მავალითად, ფიქრობს. რომ გერმანიის ცდაა ცენტრალურ ევროპაში და ბალკანეთში გაშარდეს, იქაური ქვეყნები თავისაკენ გადაიბიროს, რათა შემდეგ დასავლეთით გაილაშქროსო, ზოგი კი, წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ გერმანიას სურს საბჭოთა რუსეთის დავტკოსო.

მაგრამ ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დღეს ბრძოლა სწარმოებს გვეგმონიისათვის. ასეთი მიზნის მილწევა კი გერმანიას შეეძლება იმ სახელმწიფოების დასუტებით და ჩამოაყვეთებით, რომელთაც დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება ხელთ უპყრია.

და მართლაც, ინგლისი და საფრანგეთი თვითონ გრძობენ დღეს მათ წინააღმდეგ ომის საშიშროებას და სამაისილო ვაფაციცებთ ემზადებიან.

გაცხარებით ემზადებიან აგრეთვე თვდაცვისათვის: პოლონეთი, ბალკანეთის, თუ სკანდინავიის სახელმწიფოები. პოლანდია, ბელგია, შვეიცარია და სხვა პატარა ქვეყნები. რამდენჯერ ამ პატარა ერებს მათ ისტორიულ ცხოვრების განსწვრივ განუტყდათ მონობა და სხვისი ბატონობის ქვეშ ყოფნა, რამდენ-

ჯერ გამზდარან ისინი მსხვერპლი სხვების ერთმანეთ შორის ქიშპობის და კონფლიქტებისს! და ხელა ყველა ისინი შიშის ხარით არიან მოცული. რომ ხელახლად არ იქნან სადმე გამოუყვეტილი. ან ვინმესაგან უსამართლოდ და უკანონოდ გაყოფილი და მითვისებული.

თუ საბჭოთა რუსეთიდან მიღებული ზოგი ცნობებით იქაური ჩაგრული ერები საერთაშორისო კონფლიქტის შედეგად ბოლშევიკური ტირანიისაგან განთავისუფლებას მოელოან და ამ მოსალოდნელს კონფლიქტში რუსეთის ჩათრევის და დანაგრევის ეტრფიან, სამაგიეროდ, დასავლეთ ევროპის პატარა ერებს საერთაშორისო საომარი კონფლიქტი მათი თავისუფლების და დამოუკიდებლობის დასამარების შესაძლებლობათ მიანჩიათ. ამიტომ უნდათ მათ ნეიტრალობა დღესაც და სხვების ბრძოლაში არ ჩაერიონ, მაგრამ ხშირად ნეიტრალობა შეუძლებელი ხდება და ისინიც იძულებული არიან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ.

ევროპის ყველა პატარა ერები დღეს იარაღდებიან და შესაძლებელ მომავალ თავდასხმების მოსაგერიებლად ემზადებიან. ცხადია. მათი ვარდაუვალი სურვილია საომარი კატასტროფა თავიდაუნ აიცილონ, რათა მათ მიეცეს საშუალება მყუდროდ და მშვიდობიანად იცხოვრონ.

მაგრამ რომელია ის საშუალება, სადაა ის გზა, რომელიც შესაძლებლად გახდის ერთა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებას და მათი ერთმანეთთან მტრობებას? მათი შეიარაღების მუდმივი ზრდა და ერთმანეთისადმი მუქარა?

არა, ასეთ რამეს არასოდეს კარგი ნაყოფი არ გამოუღია.

ანდა დღევანდელი მდგომარეობის სახეებით გამოსწორება და ერთა შორის არსებული ქიშპობის და ბრძოლის მოსპობა ვეგბ შესაძლებელია, როგორც ამას დღეს ზოგიერთი ფიქრობენ, საერთაშორისო კონფერენციებზე სხვადასხვა კოლონიების და ქვეყნების, თუ ნედლი მასალის დიდ სახელმწიფოთა შორის გაყოფით და განაწილებით?

მაგრამ ერთი ქვეყნის მეორე მთერ მფლობელობა და ერთი ერის მეორეზე ბატონობა ისტორიულად ხომ მუდამ ყოველგვარ კონფლიქტების საბაბი ყოფილა!

არა ნედლი მასალა და საერთაშორისო ბაზარი უნდა განაწილდეს. არამედ საერთაშორისო ბაზრის ყველა ადგილას ნედლი მასალის შესაძენით, საერთო თანამშრომლობის სახით, ყველა უნდა მიეცეს თანაბარი უფლება და შესაძლებლობა მისენისას.

არა ამა თუ იმ კოლონიების და ქვეყნების გადაწაწილება და მათი დიდ სახელმწიფოთა შორის გაყოფა, არა დღეს ჩაგრული ერების ჩაგრულ მდგომარეობაში ჩატოვება, არამედ ყველა დამონებულ ერთა განთავისუფლება და ამ გზით საერთაშორისო მშვიდობით კეთილგანწყობების დამყარება—აი რა იქნება უტყუარი მალამო ერთა შორის შუღლის და კონფლიქტების მოსასპობათ.

ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო გ ა ზ ა ფ ხ უ ლ შ ი

გაზაფხული მხივლიდემი—

— ეგ სამყაროს ფიქრთა დენა.

დედამიწის გულში იშვა და წალკოტათ აღმოცენდა!..
 ზღვები, გაშლილ თაიგულთა, დაეუფლა კიდიტ-კიდეს—
 და ერთი ზღვა, ამ წალკოტთა, ჩემი ქვეყნის მიწვდა რიდეს!..
 გაიშალა ძლევის დროშა,—დროშა მზიურ სიყვარულის.
 მსოფლიოში ფრთათა რხევა—ჩვენი ქართულ გაზაფხულს!..
 ქვეყნის ფერად სასახლეში ანავარდდა ჰიზნი, ლხენა,—
 — თვით ცხოვრების მოძახილი და სიცოცხლის აღმაფრენა!..

გაზაფხული ხამშინდემი!..

— საქართველო გაზაფხულში!..

რა კარგია მოგონება!— თვით ფრინველი ტოკავს გულში!..
 ოდეს ყვავილს, უცხო ყვავილს, დასაყნოსათ იღებ ხელში,—
 მოიგონებ სხვა გვარ ვარდებს,— ბორკილთ მოსილ სიცოცხლეში,
 მოიგონებ ჩვენი ქვეყნის—ზღვა ყვავილებს,— მთებთ დამდგარს,
 გული ლხენით გამოუხმობს:— სხვას სად კპოვებ ამის მაგვარს!..
 მაგრამ მზიურ, გაშლილ ველებს რა ეხვევა თავს ღრუბლები?!..
 — ეგ მტრებია ჩემი ქვეყნის!— მოდენილი,— მტერთა ხმები!..

და მაისი ხამშინდემი!—

— მწვერვალოა გაზაფხულის,

მწვერვალოზე სხივთ ნავარდი, სიმღერა და სიხარული!..
 გაზაფხულის მწვერვალოზე იშვა ჰიზნი დიად შვების,
 ერისა ჰიზნი, შრომის ჰიზნი—დიდების და გამარჯვების.
 და მაისი სამშობლოში.— სულ სხვა თვეა, სულ სხვა ქაზნი!..
 აქ მოდინდა გამარჯვება, აქვე არის დასაბამი!..
 — და თუმცე გული ტანჯულია, კვლავ მოდენილ ბორკილთ ქღერით,
 გარდაუვალ ბრძოლის ხმებში გამარჯვებას მაინც ველოთ!..

26 მაისის პირველი წლის თავი

(1919 წ.)

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წ. 26 მაისს. ამ დიდებულ დღეს ერთი და ქვეყანა უდიდესის აღფრთოვანებით შეხვდა, თუმცა სახეიმოდლე წინააღმდეგ იყო მომზადებული. ეს მოხდა მხოლოდ შემდეგ წელს.

ისტორიაში არაა ხშირი ასეთი დღე. მით უფრო იშვიათი იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში. ამიტომ ასეთი დღე არ შეიძლება არ აღინიშნოს არჩვეულებრივად. ამას ჰკარნობდა ყველა—დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა, ქალი და კაცი. ამიტომ იყო ამ დღესასწაულმა მართლაც რომ უმაღლესად ერთგული სახეიმო ხასიათი მიიღო. დღესასწაული მოწყობა იკისრა (გესარგებლობ იმ დროის გახეთქებით) დამფუძნებელ კრების სახელოვნო კომისიამ და, უნდა ითქვას, ბრწყინვალეთაღ ქაატარა იგი. ამ დღეს თბილისი მართლაც არჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. მთელი ქალაქი ერთგულ აღამებში და ვარდ-ყავილებში მოკავშული შეხვდა დიდის მზის ცქრიალა სხივებს. დილა-ადრიან მთელი ქალაქი ქუჩებში გამოვიდა. თავისუფლების მოედანი 10 საათზე უკვე ხალხით იყო გაკეთილი. აქ თავი მოიკაფეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენლებმა: მთა და ბარი, იმერი და აშერი, აჭარა და შავშეთი, კახეთი და ჯავახეთი, სანეითი და აბხაზეთი—ყველა თავიანთ კუთხურ ტანისამოსში გამოწყობილნი. გარეთ კახეთის გლეხობა, როგორც დღეობაზე, ჩარდახიან ურმებით და სამღუთოებით ჩამოსულიყვენ. არგვლიე ჩამწყობებულნიყვენ მრავალი მოსწაულე ქალე და კაცი. ერთი სიტყვით ყველა და ყველა კუთხიდან.

დამფუძნებელ კრების ქუჩის სათავეში ამართული იყო ხის დიდი კამარა, კამარა ქართულ სტილზე სახელმწიფო ღერებებით და აღამებით მართულ-მოკავშული კამარასთან თავმოყრილნი იყენენ ჰეროიდები, შეერთებული ორკესტრი შემდგარი 500 კაციისაგან, ხორო გურული. ხორო 26 მაისის. ხორო ცხენოსან რაზმისა, ხორო კავსანის და სხ. იქვე გაჩერებული იყო სამი მშვენიერი ავტომობილი. ერთს ეწერა დიდი ასოებით «რევოლიუცია». მეორეს—«საქართველოს დამოუკიდებლობა», მესამეს—«გაზაფხული». ავტომობილი «რევოლიუცია» შეღებილი იყო სულ წითლად და ზედ აღისფერ სავარძელში ნებეგრად იჯდა წითელ ტოკაში გამოწყობილი მსაქონის ასული ვინმე. მეორე ავტომობილზე—საქ. დამოუკიდებლობა—გადაშლილი იყო საქართველოს შვიდი ნაწილის ემბლემა. ზედ, ხელში ფარითა და შუბით, გარშემორტყმული შვიდ მნაობ ბანოვანით—იდა საუცხოვო ქალწული ვინმე. მესამეზე—გაზაფხული—სულ ყვავილებით მოკავშულზე, შესანიშნავის ხელოვნებით გაშენებული იყო ყვავილთა და ხეხილთა ბაღ-ხეივანები. ზედ იჯდა სამი ტურთა ასული. ერთი პრთავდა, მეორე ქსოვდა, მესამე მაკრატლით ბოლოს უქრიდა—ემბლემა ძველი დროისა და ჩვეულებისა.

ვიდრე ჯარების აღლუმი დაიწყებოდა, სახმედრო ტაძრის გალავანში ქათალოკოს ლეონიდემ პარვალისი ვადაიხადა და ჯარებს შესაფერი სიტყვით მიმართა. ამ დროს მიჩნისტრების, მათი აგზანაგებისა და ქალაქის მოურავის თანხლებით, გალავანში შემოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ე. კორდანი. ამავე დროს მოვიდენ საქართველოში მყოფნი ყველა მისიების წარმომადგენელი, დამფ. კრების წევრნი და მხედრობათა უფროსნი. მთავრობის თავმჯდომარე მიესალმა ლაშქარის და ჯარების ნაწილებმა ორკესტრით ცერემონიალით იწყო დენა მის წინაშე, რუსთაველის გამზირის სათავეში ამ დროს პავროპლანებიდან ბლომად უშვებდენ ფერად შუშხუნებს. დელგაციების მილოცვის შემდეგ ე კორდანი, რომელსაც ყოველი მხრიდან «ვაშას» და «გაუმარჯოს» ძახლით ესალმებოდენ, საგანგებოთ ყვავილ-გრივლებით მორთული ეტლით დამფ. კრების პრეზიდიუმთან ერთად სტადიონისაკენ გაემართა. მას გაჰყვა სადღესასწაულო კორტეცი. თავისუფლების მოედანიდან ვიდრე სტადიონამდე, რომელიც 3-4 ვერსს უდრის—გასწვრივ ორივე მხრივ ხალხი კედელივით იდგა.

სტადიონი შეჭრილია ხეობაში, რომელსაც ერთ მხრით «ბუტბუტით» მტკვარი ჩამოუვლის, ხლო მეორე მხრით ამშვენებს ამწვანებულ მთის კალთა. ამ კალთის თავზე გაკეთებული იყო კარვები საპატოო სტუმრებისათვის. სტადიონს თითქმის ვერსახევიარი ვიწარი. თვით სავარჯიშო მოედანი დაცემულ ადგილას მდებარებოდა, ასე რომ მთის კალთებზე შეფენილი ხალხი, როგორც ხელის გულზე ისე ხედავდა რაც ხდებოდა მოედანზე. მოედნიდან მაყურებელს წარმტაცი სანახაობა ეშლებოდა. მწვანე მთის კალთები ხალხით იყო დაფარული, კარვების მხოლოდ სახურავები მოსჩანდა. სტადიონზე დღესასწაული გახსნა კამპ. ფოცხვერაშვილმა ერთგული ჰიმიით, რომელიც სამჯერ იქნა განმეორებული. შემდეგ იმღერა 26 გუნდმა. მას მოჰყვა კავსანის გუნდი. შემდეგ გაიმართა ფერხობი, ლკურთა და ბოლოს ძველი ხალხური ცეკვა დიდმეტი გლეხების მიერ, რომლებიც გამოწყობილი იყენენ ორიგინალური ბერიების ტანსაცმელში.

ნამუადღევს 2 საათზე სტადიონის მოედანი დაიკავა შევარდენის ჯგუფმა, რომელიც 400 წევრისაგან შესდგებოდა. პირველ წყებაში გამოვიდენ ბავშვები. მათმა ვარჯიშობა დაამსწრინ აღტაცებაში მოიყვანა. წითელ ტანისამოსში გამოწყობილნი, პატარა შევარდენები, ყაფარის ყვავილებით, ამწვანებულ მიწიდერის კალთებს მოედვენ. ბავშვების შემდეგ დაიწყო მოზრდილ ქალ-ვაჟთა ვარჯიშობა, რაც დამსწრეთა შორის მქუხარე ტაშს იწვევდა. შევარდენის სანახაობა მართლაც რომ დიდებულ სურათს წარმოადგენდა. ის ევროპის უპირველეს სტადიონებსაც კი დაამშვენებდა. ამას მოჰყვა ხევისურთა ფორიკობა. ხევისურთა ახალგაზრდა, ფრა-აბჯარში



ჩანსმულნი ხმალდახმალ ერთმანეთს ეკვეთენ. თანა-
ხმად წესისა—ხელები ფარს ქვეშა ამოფარებული,
განთავისუფლება ხელებისა და მკლავის თავისუფ-
ლად მოქნევა ვაჟკაცს სირცხვილად ჩათვლების-
არც ის ებატება მოქიშვე მძიმედ დასჭრას ფარი-
კაობის მონაწილენი ერთხანს ზუსტად ასრულებდენ
ადათ-წესებს. მაგრამ აი ერთი მათგანი ძალზე ცაცხა-
რდა, გადელდა და მოქიშვე ხელში დასჭრა. ისინი
მაშინვე გააშველეს. ფარიკაობის მოპყვა ფეხბურთი
ინგლისელებთან. სტადიონის მიდამოებში გამარ-
თული იყო მთელი რიგი ფანჯატურებისა. ერთ მათ-
განში მთავრობამ საპატოო სტუმრებს საუხზე გაუ-
მართა. კერძო ფანჯატურებში, ხეების ძირში და
სავანებოდ მიტანილ ნივთებზე ხალხი გულ-ღიით
შეეცქერდა «წითელ ნუნუსს» და საქართველოს სად-
ღვგძელოს ისეთ კახურს მრავალ-ქაშიერს მიყო-
ლებდა, რომ მგონი ზეცასაც ესმოდა. მიუხედავად
იმისა რომ პროცესიანს რამდენიმე ასიათასი სული
დაესწრო, სამავალითა წეს-რიგი სუფევდა და ის
ერთხელაც არ დარღვეულა.

5 საათზე სტადიონიდან ხალხმა ქალაქისაკენ
იწყო დენა. საღამოს ქალაქი საუსტოვოდ გაჩირალ-
დებული იყო. ყველა სახელმწიფო და საზოგადოე-
ბრივი შენობები სამფეროვანად მორთულ-განათე-
ბული იყო. ყველგან გამოჩნდილი იყო მთავრობის
თავმჯდომარის დიდი სკრათი ყვევლებით შემო-
სილი, თითქმის ყველა კერძო სახლზე ელექტრონის

შუშასთან ერთად, ბრწყინავდა დიდი ასლებით, ამო-
ჭრილი იყო «26 მაისი». ფფერიულ სანახაობას წარ-
მოადგენდა კოცონი ანთებულ თოფხანის, ბოჭა-
ნიკურ და მამადავითის გორებზე. მამადავითის კო-
ცონი ისე კარგად იყო მოწყობილი, რომ მის სინათ-
ლებზე ნათლად მოსჩანდა მამადავითის ტაძარი და
მთელი გორა. ამავე მთებიდან შულამემდის ათას
ფეროვან რაყებებსა და მაშხალის ისროდენ. საღა-
მის ყველა კლუბებში, თეატრებში და სინემებში
უფასო სადღესასწაულო წარმოდგენები გაიმართა.
ქართულ კლუბში გაიმართა დიდი სახეიმო ვახშამი
ჩამოსულ დელეგაციებისათვის. ლბინი და მზიარუ-
ლება ადილამდის არ შეწყვეტილა. ამ დღეს შეეცა-
ლა სახელი ერევნის მოედანს, დაერქვა—თავისუფ-
ლების მოედანი, სასახლის ქუჩას კი დამფუძნებელ
კრების ქუჩა.

ქართველ ხალხს არას დროს დაავიწყდება ის
სანეტარო ვაკეცდანი, რომელიც მან ამ დღეს იგემა-
და თუ დღეს იგი ასე უღვთოდ ჯვარცმულია მტრის
მიერ—ეჭვი არაა ამ დღის ჯანცდანი და მოგონებანი
მას დიდად ამხნევეებს, ანუგეშებს, იმედს არ უქარ-
გავს და წამდაუწყუმ აგონებს დიდი პოეტის სიტყვებს:
«ჩემო კარგო ქვეყანავ
რანზე მოვიწყვინია,
აწმყო თუ არა გუყალობს
მომავალი შინია»...

გრ. ურბაძე.

ივანოვსა და საბჭოთა კავშირი

დღეს ბევრი ლაპარაკია ინგლის, საფრანგეთს
და საბჭოთა შორის ხელშეკრულების დადების
შესახებ.

სულ ამ რამოდენიმე თვის წინეთ კი ინგლისი და
საფრანგეთი რუსეთს არავითარ ყურადღებას არ აქ-
ცევდენ და ის სრულ იზოლიაციაში იმყოფებოდა.
მოიკონთ მითუნენი.

საბჭოთა რუსეთის ევროპის დიდი ქვეყნების მის-
დამი დამოკიდებულებას მაშინ იმით ხსნიდა, რომ
ის ინგლის საფრანგეთის მიერ განწირული იყო და
მათი აზრით ის გერმანიის მსხვერპლი უნდა გამხდარ-
იყო. გერმანიას კი მოსკოვი პოლიტიკურად ყვე-
ლაზე უფრო ძლიერ სახელმწიფოთ სთვლიდა და მისი
სასტიკად ეწინააღ. და რადგანაც ის ყოველთვის
ცდილობდა და დღესაც ცდილობს მხოლოდ ძლიერ-
რის მხარეზე იყოს და მასთან ჰქონდეს კავშირი. სა-
ბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკაც იქით იყო
მიმართული, რომ გერმანიასთან კარგი განწყობი-
ლება დაემყარებია და მასთან საქმიანი კავშირი ქო-
ნებოდა. ამიტომ ადვილი ასახსნელია, თუ რატომ
მოსკოვი მუდამ თავს ესხმოდა ინგლის-საფრანგეთს.
ყოველივე ბოროტმოქმედების ყვევობებთან მთ სა-
ხავდა. გერმანიას კი თავდაპირველად ეპყრობოდა
და მასზე რაიმე უტლის თქმას ვერცდიოდა.

დღეს საბჭოთა რუსეთი სხვა აზრისა არის და
მისი დამოკიდებულება ევროპის სხვადასხვა სახელ-
მწიფოებისადმი იცვლება.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარი
მოლოტოვი 31 მაისის თავის სიტყვაში გერმანიას
და იტალიას აშკარა აგრესორებათ აცხადებს. თუ-
მცა მათთან საგაბრო და საქმიანი კავშირის გაწყვე-
ტას არ ფიქრობს; წინააღმდეგ. დემოკრატიულ ქვე-
ყნების პოლიტიკის გაუმჯობესობას ხაზს უსვამს
და მათთან საერთო უზრუნველყოფის დასამყარე-
ბლად მისთვის ხელსაყრელ ფორმულებს ეძებს და
ვაპრობს.

რა მოხდა? რა შეიცვალა?
ევროპის ქვეყნების გადაჯგუფება და მდგომარ-
ეობასთან შეფარდებული მათი ახალი პოლიტიკა
იწყება გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის
შედეგად.

თუ მითუნენის კონფერენციის ხანებში, როცა
მესხად რაინმა სულდტელ გერმანელები შეიერთა,
ზოგიერთი გერმანიის ერთა თვითამოკვევის
პრინციპის მომხრეთ და ამ პრინციპის ცხოვრება-
ში გამტარებლათ სთვლიდენ, პრადის სამხედრო
ძალებით დაკავების შემდეგ არა თუ ინგლისი და
საფრანგეთი იყვნენ უკმაყოფილო გერმანიის მიერ
მათთან დადებულ ხელშეკრულების დარღვევით,
არამედ გერმანიას ამის გამო აუხმედროდა მსოფ-
ლიოს საზოგადოებრივი აზრი და მან დაპყარვა
მორალური ავტორიტეტი წყრილ ერთა თვალში-
დაც. ყველა დაშინდა და ყველას თვალწინ ჩეხო-
სლოვაკიის ბედი დაუდგა. აქედან იწყება სხვადასხვა

სახელმწიფოთა შორის თავდაცვის ხელშეკრულებების დადება და მათი დარღვევა. ამ დარღვევის ხელშემძღვანელი ინგლისი გახდა.

ინგლისმა შეკრა სამხედრო კავშირი პოლონეთთან და საფრანგეთთან ერთად მან უშიშროების განაზრგა მისი აკრძალვის და საბერძნეთის. სამხედრო ხელშეკრულება პოლონეთთან საფრანგეთს კი უკვე წინეთ ჰქონდა დადებული. ინგლისის დიდ დიპლომატიურ გამარჯვებათ ითვლება, და ამას გერმანიამ მართლა დიდი ყურადღება მიჰქცია, რომ მოხდა ინგლის-ოსმალეთის შეთანხმება, რომლის ძალით ოსმალეთი ვალდებული იქნებოდა მოკავშირეთა სამხედრო გემები გაუშვას დარდანელის სრუტეებით და სამხედრო ძალებით დაიცვას ყოველ იგი თავდასმისაგან მესოპოტამია, პალესტინა, ეგვიპტე და სუეცის არხი. დემოკრატიული ქვეყნების კავშირი ოსმალეთის შემოსვლას ის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, რომ ამით ამით მხარეზე იქნება მუსულმანურ ქვეყნების თანაგრძობა და ინგლის-საფრანგეთი ითუქმებული არ იქნებიან ომის დროს ამ ქვეყნებში თავიანთი სამხედრო ძალები დააბანდონ.

ოსმალეთის ინგლისთან კავშირმა გაამაგრა ბალკანეთის ანტიანტი ქვეყნებიც და კერძოდ, წათამამა იუგოსლავია, რომ ამ უკანასკნელს უარი ეთქვა გერმანია-იტალიის მხარეზე აშკარა გადასვლაზე. თვით ბოლშევიკი ასეთ რამეს დიდ ანგარიშს უწევს და ცდილობს შეინარჩუნოს ნეიტრალური პოზიცია. ინგლის-საფრანგეთი უთუოდ დაეხმარებიან ბელგია პოლანდია-შვეიცარიას და ყველა იესნი, ცხადია, საერთაშორისო კონფლიქტის დროს ერთად იქნებიან. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყანა მსოფლიოში—შვეიცარიული შტატილი აცხადებენ, რომ ისინი უთუოდ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოების მხარეზე დადგებიან, მაშინ აღვივლი მარაგზე სამხედრო ძლიერების და ეკონომიური შესაძლებლობის რამოდენა უპირატესობა იქნება.

აი სწორედ ამ ძლიერებას უწევს დიდ ანგარიშს ეხლა მოსკოვი და ისიც არჩევს დემოკრატიულ ქვეყნებთან ჰქონდეს საქმე, თუმცა მათთან გაუთავებელ პაპარკს და მანიოვრებს აწარმოებს. მაგრამ მოსკოვი სარკვევლობის მით, რომ ინგლისი და საფრანგეთი დღეს ფრთხილობენ საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან კავშირი არ დაიჭიროს და მეორე რაპალო არ განიმოკრას. ამიტომაც არის, რომ მოსკოვი ინგლის-საფრანგეთის დასაშინებლად სხვადასხვა ფანტებს მიმართავს და გერმანიასთან საცავი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობაზე მიუთითებს.

ინგლის-საფრანგეთმა კარგად იციან აგრეთვე, თუ რა საშიშროება მოეღოს ყველას, რომ რუსეთი მოსალოდნელ სამომარ კონფლიქტის გარეშე დარჩეს, მან მთელი თავისი ძალები შეინარჩუნოს და შემდეგ ომით დაუძღვრებულ მხარეებს თავისი სურვილი

და ბატონობა თავს მოახვიოს. ამიტომ უნდათ ინგლისის საფრანგეთის ტოტალიტალური ქვეყნების წინააღმდეგ თავის მხარეზე ყავდეს. სამხედრო ძლიერებით თუმცა სუსტი მაგრამ ადამიანთა მასალით მეტად მდიდარი ტოტალიტალური რუსეთი.

აქ არაფერ შუაშია იდეოლოგიური ბრძოლა და მისი მიზნებით არ ხდება სახელმწიფოთა დაჯგუფება. არის მხოლოდ ინტერესთა წინააღმდეგობა, თუ ერთი და იგივეობა.

მოსკოვს არაერთხელ განუცხადებია, რომ ის პროვოკაციებს არავითარ შემთხვევაში არ აყვება და ომის ცეცხლში არ გაეხვევა. მან იცის, რომ ამას უთუოდ მისი დანერგვა მოყვება. ის, რასაკვირველია, შეეცდება საერთაშორისო კონფლიქტში მონაწილეობა არ მიიღოს, განზე გადადეს და სერიოს მაცურებელი იყოს. მაგრამ მან იცის აგრეთვე, რომ არის დიდი საშიშროება, რომ ინგლისი და საფრანგეთი მას განზე დგომას და დროს მოგებს არ დაანებებენ, რომ შეუძლებელი არ არის რუსეთის ხარჯზე მათი გერმანიასთან შეთანხმება. ამას უწევს უარდეს ანგარიშს დღეს კრემლი და ეს აიძულებს მას ნეიტრალურ პოზიციას თავი განებოს და ერთ რომელიმე მხარეზე დაადგეს. ჯერ ის კიდევ ფეხს იორებს, ვაჭრობს, ისეთ სახელმწიფოებისათვის, რომელნიც არც მას და არც სხვებს ამას არ თხოვენ, უშიშროების გარანტიას მოითხოვს, უნდა ამით თავისთვის, რაც შეიძლება, უკეთესი პირობები მოიპოვოს.

დაბოლოს, ეკვი არ არის, საბჭოთა რუსეთი ძლიერ გვერდში ამოუდგება, რათა მათ თავი შეადაროს და მით თავი გადაიარჩინოს. კონფლიქტებშიდაც რომ მონაწილეობა მიიღოს, ის ყოველთვის შეეცდება აქედან, რაც შეიძლება, მაღვ გამოედგოს და, თუ საჭიროდ დაინახა, თავის მოწინააღმდეგეთანაც საერთო ენა გამოახანოს და მეორე ბრესლიტაცისკენებოი რამე განიმოკროს.

ყველაფერი ეს მხედველობაში აქვთ მიღებული იმ დიდ სახელმწიფოებს, რომელნიც მასთან დღეს მოლაპარაკებას აწარმოებენ. დიდის უნდობლობით უყურებენ მოსკოვს აგრეთვე ევროპის პაპარკ ენერბიც, რომელთა თავისუფლების და დამოუკიდებლობის დასაცავათ, ვითომც, ის ასეთნაირად თავგამოდებულია.

თვით ის წვრილი ერები კი, რომელთაც მოსკოვმა საბჭოთა კავშირში თავისუფლება წაართვა და მათ მონაობის უფლი კისერზე დააღო, დღევანდელ რთულ საერთაშორისო მდგომარეობას გულისფანქვალთი თვალყურს ადევნებენ და იმედი აქვთ, რომ აქედან მათთვის რამე სანუგეშო გამოვა. მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, ამისთვის ამ ერებმა თავიანთი იმედი იმაზე კი არ უნდა დაამყარონ, რომ სხვები მათ თავისუფლებას მხამხარულად მიაღებენ, არამედ მიუღი თავისი ძალღონე იმას უნდა შესწირონ და მთანდობონ, რომ შინაურ ფრონტზე მაგრად და მზად იყვნენ.



დ ი დ ი ს ა მ ე

უცხოეთში გადმოხვეწილ ქართულ საზოგადოებას უზრუნველ ათუული ბავშვები, მომავალი ქართველი მოქალაქენი.

ევროპის სხვადასხვა კულტურულ ქალაქებში ისინი უსათუოდ მიიღებენ სწავლა-განათლებლას. ზოგიერთი მათგანი დაათავეს უმაღლეს სასწავლებელს. ჩვენს გარშემო არა ერთი მაგალითია, როცა მშობლები შევიწროებით ცხოვრობენ, გაჭირვებას განიცდიან, თვით იკლებიან, ოღონდ თავის შვილს განათლება მიაღებინონ. ეს მოვლენა უაღრესად მოსაწონია, წასახალისებელი და გასამხნეველიც.

მაგრამ ხშირად ვეკითხებით თავს, შესაძლებელია კი ეს ახალგაზრდობა, გვერდში ამოუდგეს მომავალში იმ თაობას, რომელიც საშინელ პირობებში იქ, სამშობლოში, საკუთარი მიწა-წყლის სიყვარულით გაშობარია, ჩვენს მომავალ იმეს წარმოადგენს?

საკითხავია—ეცნობიან თუ არა აქაური ახალგაზრდები ქართულ ტრადიციას, ჩვეულებას, ადათ წესს, ჩვენ ბრწყინვალე წარსულს? კიდევ მეტი. იცნობენ ოდნავ ისინი ქართულ კულტურას და კერძოდ დიეტურტურას, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებას?... ამ მხრივ ფირად სამწუხარო მაგალითებს ვხვდებით. ჩვენი ახალგაზრდობა, მცირე წლოვანიც კი უცხო ენაზე ჩინებულად მოვიტორობს. ვინ არიან კორნელი, რასინი, ვიქტორ-პიუგო და სხვანი. რა თქმა უნდა ამათი გაცნობა და შესწავლა საჭიროც არის და აუცილებელიც. მაგრამ აბა კვითხეთ რომელიმე მათგანს, თუ იცნობს აკაცის, ილიას, ვუა-ფშაველას და სხვა ჩვენს სახელოვან კლასიკოსებს.

რომელიმე მათგანს, რომ თქვენ უთხრათ, რომ ის ქართველი არ არის განრისხდება. უცხოელებში თვით დიდსულად უჭირავს, ქართველ ენაობას დიდის სიამაყით ააშკარავებს. მაგრამ ჯანა ეს საკმარისია? როცა ისინი პრაქტიკულ ცხოვრების გზაზე დადგებიან, ან ზოგიერთი მათგანი საზოგადოებრივ ასპარეზზე განიზრახავენ მოქმედებას, დაიწყება მათი სულიერი ტრადედია, ისინი არ იქნებიან შეიარაღებულინი იმ აუცილებელ კულტურული თვისებებით,

რომელნიც ასე საჭირონი არიან ეროვნულ ოჯახში თავისუფალ სამოქმედოდ. ისინი თვით იგრძნობენ თავს ქართული კერისაგან გარიყულად და ადვილი მოსალოდნელია წყველა-ქრულვა შეუთვალონ იმ ქართულ საზოგადოებას, სადაც მათ მოუხდათ აღზრდა.

შეიძლება თუ არა ამ მოსალოდნელ გადაგვარება წინ გადავედოთ, თვითდან ავიცილოთ?..

ვეფიქრება შეიძლება თუ ის გახდება ქართული საზოგადოების მუდმივი საზრუნავი საგანი. ყველგან სადაც კი არსებობს ქართული წრე, საზოგადოება, მან ის უნდა დასვას თავის მოღვაწეობის პირველ რიგში. კერძოდ, პარიზში, ამ საქმეს უნდა მოუაროს ქართული ასოციაციის გამგეობამ. ემიგრაციაში საქმად მოპოვებთან შესაფერო პირობები, საჭიროა მათ მოწვევა, და თათბირის გამართვა. საჭიროა ყველა დინტერესებულ და გულშემბტკივარ პირთა დანშარებით ერთი მთლიანი გეგმის შემუშავება, საჭიროა საზოგადოებრივი აზრის ამუშავება. რა არის იმაზედ მეტი სიმპატიური, კეთილშობლიური, ვიდრე ერთი პარტიოტული, თუ არა უცხოეთში დაბადებულ ქართველის მოვლა. მისი პატრონობა და მომავალი პარტიოტის შექმნა! ეს საზოგადოებრივი საკითხია. მანასადამე ის ქართული ასოციაციის საზრუნავია!

გაკრვით აღვნიშნავთ, რომ მშობლებს დიდი მოვალეობა აწევთ, მათ უნდა შესაწავლონ შვილებს ქართული წერა-კითხვა, შეაჩვიონ ქართულ აზროვნებას. აკრძალონ ოჯახში სხვა ენაზე ლაპარაკი და სხ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდ თაობის იმ კატეგორიას, რომელმაც მშობლების შემწეობით ქართული წერა კითხვა ისწავლა. აუცილებელია მათში ეროვნულ-კულტურული მუშაობის გაჩაღება.

ამდენ საქმეშიმონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ; ქართულად აღზრდის საქმე, ბრძოლა გადაგვარებასთან ეკუთვნის მთელ საზოგადოებას, და სიტყვაც ქართული ასოციაციის გამგეობას ეკუთვნის.

პ. სარჯველიძე.

სოციალისტური ინტენაციონალი

უკანასკნელ წლების განმავლობაში სოც. ინტერნაციონალი მტკათ არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა. წინათ ძლიერი და ლეგალური მასიური სოციალისტური პარტიების რიცხვი თანდათან მცირდებოდა და არალეგალურ და ემიგრანტთა დაჯგუფებათა სია თვალსაჩინოთ იზრდებოდა. დემოკრატიული, თუ ნახევრად დემოკრატიული ქვეყნების 10 ლეგალური პარტიის ვევიდით დღეს ინტერნაციონალი 18 არალეგალური პარტიის წარმომადგენელი ითვლება.

დემოკრატიული და არადემოკრატიული, თუ ფაშისტური ქვეყნების ცხოვრების სხვადასხვა პირობებში იმის მთავარი მიზეზი, რომ დღევანდელ პარლამენტარულ და არალეგალურ ემიგრანტთა პარტიების შორის დიდი განსხვავება და მათ სხვა და სხვა სამოქმედო გეზი და ხაზი აქვთ აღებული. თითქმის ყველა ემიგრანტული პარტიები გარდა გერმანულ და ქართველ სოციალდემოკრატიისა ისეთ დიდ საკითხებში, როგორიც არის ერთი ფრონტის, კომინტერნაციონალური დამოკიდებულების, ომის და ზავის საკითხები და სხვა, გარკვეულ ბოლშევიზანურ პოზიციაზე დგანან და მათ ხშირად დიდი დავა და კონფლიქტი უხდებათ ინტერნაციონალის მთავარ ლეგალურ სექციებთან. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ინტერნაციონალის ექვეპტივიში შესაძლებელი იყო ემიგრანტულ პარტიების წარმომადგენლების უმრავლესობით ისეთნაირად გადაწყვეტილიყო საკითხები, რომ ეს ყოველად მიუღებელი ყოფილიყო.

ყო დემოკრატიულ ქვეყნებში მომუშავე პარტიე-
ლისათვის. მაგრამ ამ უქანასკნელთა განხეთქილებით
მუქარის და ულტიმატუმების გამო ეს არ ხდებოდა.
რომ ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო
მოვლბოდა, ინტერნაციონალმა გადაწყვიტა მოეხ-
დინა შინაური რეორგანიზაცია, რათა მისი ხელმ-
ძღვანელობა ყოფილიყო იმ მთავარ სექციების ხელ-
ში, რომელთა ზურგს უქან დგანან მუშათა ფართე
მასებში და რომელთაც აწევს ყველაზე მეტი პასუხის-
მგებლობა.

ეს პრინციპი განიარბულ იქნა ემიგრანტულ
პარტიების უმრავლესობის მიერაც და ეკვეტუტივმა
თავის 14-15 მაისის სსდომაზე მიიღო სპეციალური
კომისიის პროექტი რეორგანიზაციისა. ხლო ემი-
გრანტულ პარტიების უმრავლესობა გამოიწვია
კონგრესებზე, ეკვეტუტივში. თუ ინტერნაციონალის
ბიუროში ხმების განაწილების საკითხმა.

გერმანიის სოც. დემოკრატიის კონგრესებზე 26
მაგიერ ეხლა 4 გადაწყვეტი ხმა აქვს, ავსტრიისას
13 მაგიერ 2 ხმა, იტალიისას 10 მაგიერ 2 და სხვა
ყველა დანარჩენ არალევალურ პარტიებს თითო გა-
დამწყვეტი ხმა. ინტერნაციონალის ეკვეტუტივში
და ბიუროში ინტერნაციონალურ პარტიებთან გადამ-
წყვეტი ხმები აქვს მხოლოდ გერმანიის და ისპანი-
ის პარტიებს სხვები კი სარგებლობენ სათათბირო
ხმით. ის წინადადება, რომ ავსტრიელები, იტალიე-
ლები და რუსი მენშევიკები, რომელთაც წინეთ ბი-
უროში გადამწყვეტი ხმები ჰქონდათ, ეხლა იქ მაინც
სათათბირო ხმებით ყოფილიყვნენ დამუშებული, კრე-
ბის მიერ უარყოფილ იქნა.

ამ ორგანიზაციულ საკითხების გარდა, რამაც
დიდი და ცხარე კამათი გამოიწვია ეკვეტუტივის
სსდომაზე, იყო საკითხი ინტერნაციონალის საერთო
მუშაობის და ინტერნაციონალის, როგორც ზავის,
ისე ომის დროს, სხვადასხვა ნაციონალურ სექციე-
ბის მიერ უმალდეს ინსტანციით ცნობის შესახებ.

როცა სოც. მუშათა პარტიები პატარა და უბ-
რულა ჯგუფები წარმოადგენდნენ, ოპოზიციაში იყე-
ნენ და მხოლოდ პროპაგანდას ეწეოდნენ, მაშინ შედარ-
ებით ადვილი საქმე იყო მათ შორის ყველა საკით-
ხებში საერთო ენის გამოჩენა და ყველა სექციე-
ბის მიერ ინტერნაციონალის უმალდეს ინსტანციით
ცნობა და ეროვნების ინტერნაციონალურისადმი
დაქვემდებარება-დამორჩილება.

დღეს კი ლევალური, პარლამენტარული და მა-
სიური სოციალისტური პარტიები ფართე მუშაო-
ბას აწარმოებენ, ხდებიან თავთავიანთ ერის თვალ-
საჩინო ნაწილად, მთელ მათ საქმიანობას აქვს ნათე-
ლი და გარკვეული ეროვნული ხასიათი და მთავრობ-
ბაში, თუ მთავრობის გარეშე პასუხისმგებელი არიან
მთელი ერის წინაშე. ასეთ პირობებში კი ლევალურ-
ბასიურ პარტიებისათვის ეროვნული ინტერნაცი-
ონალურისადმი დაქვემდებარება ისე ადვილი აღარ
არის, როგორც ამას ისინი შევბოძდნენ თავიანთ პარ-
ტიულ მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

და როცა ეხლა ინტერნაციონალში უმთავრესად
არალევალური პარტიები, და ისიც უადრესად ნაცი-
ონალისტური მოსაზრებით, უბრუნდებიან პირვან-

დელ პერიოდის ტაქტიკას და ცდილობენ დიდ და
ლევალურ სექციების ნაციონალურ ინტერესებს შე-
საფერისი ანგარიში არ გაეწიოს, ეს, რასაკვირველია,
იწვევს ამ სექციების უმრავლესობას და გაღიზიან-
ებას.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს,
რომ, თუ ერთი მხრივ უკიდურესობაში ვარდნა
ისინი, ვინც, ვითომც, ეროვნული ნილოზიზმით არი-
ან შეპყრობილი, უკიდურესობას არ არიან მოკლ-
ბული ის დიდი ლევალური პარტიებიც, რომელნიც
სწორად თავისიან ეროვნულ ინტერესებზე ბევრს ფი-
ქრობენ. მაგრამ სათანადო ზომებს არ იღებენ, რომ
შესაფერისი დახმარება და მხარის დაჭერა აღმოუ-
ჩინონ ეროვნული დაბეჭავებულ ეროვნებების სე-
ქციებს. ასეთი წინააღმდეგობა დღეს უთუოდ არსე-
ბობს ინტერნაციონალში და მომავალში ის უნდა
მოგვარდეს და გამოსწორდეს.

ინტერნაციონალის თავმჯდომარემ—დებრუქე-
რმა, რომელსაც გასულ 31 მაისს 70 წელი შეუსრულ-
და და რომელსაც მომავალი წლების მისი მუშაო-
ბის გეგმა თავისებურად აქვს შედგენილი, კატეგო-
რიული უარყოფილი განაცხადა მისი ხელახლად თავმჯდო-
მარედ არჩევაზე.

ინტერნაციონალის თავმჯდომარეთ არჩეულ იქ-
ნა აღბარდა—ჰოლანდიის სოც. დემოკრატიის ლი-
დერი, ცნობილი პარლამენტარი და საზოგადო მო-
ღვაწე. მან მეტად გრძობიერი და თბილი სიტყვით
მიმართა დებრუქერს და დაახასიათა მისი პიროვნე-
ბა. თავისი მომავალი მოქმედების პროგრამით კი
დაისხა დემოკრატიული პრინციპების დაუღალა-
ვი დაცვა და კომუნისტების წინააღმდეგ სასტიკი
ბრძოლა.

ინტერნაციონალის ბიუროში არჩეულ იქნენ: 10
ლევალური პარტიის (ინგლისის, საფრანგეთის, ბე-
ლგიის, შვეციის, დანიის, პოლანდიის, შვეიცარიის,
ფინლიანდიის და პოლონეთის) წარმომადგენელი,
არალევალურ პარტიებიდან ბიუროში შედიან მხო-
ლოდ გერმანელები და ისპანელები.

ინტერნაციონალის ეკვეტუტივი დღეს შედიან
ყველა ის სექციები, რომელნიც იქ წინადაც იყვნენ,
მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგ მათგანს აქვს
გადამწყვეტი და ზოგს კი სათათბირო ხმა.

ჯერ კიდევ არ არის არჩეული ინტერნაციონალის
მდივანი. ადლერმა, რომელიც უკვე დიდი ხანია
ამ პოსტზე არის, განაცხადა, რომ, თუ ეკვეტუტივი
ცნობს საჭიროდ ის შეიცვალოს მეორე პირით იმ
პოლიტიკური განსხვავებების გამო, რომელმაც ამ
უქანასკნელ წლების განმავლობაში თავი იჩინა მის
და ეკვეტუტივის უმრავლესობის შორის. ის მხად
იყო მდივონი თანამდებობისათვის თავი გაენებებია.
ამაზე ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელმა
განაცხადა, რომ ადლერს და ინტერნაციონალში შე-
მავალ ზოგ ლევალურ სექციებს შორის მართლა
არსებობს დიდი პოლიტიკური განსხვავება და ამას
უთუოდ უნდა მიზევიყოთ ყურადღება. ეს საკითხი
გასარჩევად გადაეცა ბიუროს და მდივონის არჩევნები
გადაიღო ეკვეტუტივის მომავალ სესიისათვის.



ს ა ნ ტ ი ს კ ო ნ გ რ ა ე ს ი

როგორც მიუხედავად იმისა, რომ მის შემდეგ მთელი ევროპა ომის ფსიქოზმა მოიცვა და ყველა კუმანიური ღირებულებები გაქრობის მომენტს მიუახლოვდნენ. ასეთ დროს სოციალისტურ პარტიებს არ შეეძლოთ თავიანთი პოზიცია არ აეღოთ და გარკვეული სიტუაცია არ ეთქვათ. საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ ასეთი პოზიცია განსაზღვრა წარსული წლის მონარქიის პარტიულ კონგრესებზე. მან მოითხოვა ტოტალიტარული სახელმწიფოების ექსპანსიის ძალით შეჩერება პაქტების და ინტენსიური შეიარაღების საშუალებით.

მაგრამ გამოირკვა რომ პაქტების და ინტენსიური შეიარაღების პოლიტიკა საკითხის გადაწყვეტას არ იძლევა და მონარქიის ეს დადგენილება მალე შეინაპარტიული დავის სახელი იქცა. ნანტის კონგრესზე, რომელიც 28 მაისს გაიხსნა და სამი დღე გაგრძელდა, წარსდგა ორი ფრაქცია, გარეგნულად შეუთვრებელი კონცეპციებით. მონარქიის გაგრძელების მომხრენი, ბლიუზის მეთაურობით, ადგენენ შეუთვრებელ ხაზს და საფრანგეთ-ინგლის რუსეთის ბლოკის გაძლიერებით ფიქრობდნენ გერმანია იტალიის სამართი განწყობილების ჩაკვლას. მეორე ფრთა, რომელსაც პარტიის გენერალური მდივანი პოლ ფორი ხელმძღვანელობდა არ უარყოფდა შეიარაღების აუცილებლობას, მაგრამ კაპიტალისტური სინამდვილის გათვალისწინებით ხაზს უსვამდა მოლაპარაკებების აუცილებლობას და ეკონომიური დავის მშვიდობიან გადაწყვეტის შესაძლებლობას და საჭიროებას, როგორც ვნებდავთ, სოციალისტური დოქტრინის თვალსაზრისით განსხვავება უმნიშვნელოა, მაგრამ კონგრესის მომზადების პერიოდში დავამ მტად მწვევა ხასიათი მიიღო და მტრები ნანტის კონგრესს განუთქილებით დაბოლოებას უწინასწარმეტყველებდნენ.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ დათმობა აქეზებს დიქტატორულ ქვეყნებს, უღვიძებს მათ დაპყრობის მადას და ფატალურად აახლოებს ომს. ამდენად, დათმობა სახიანოა; ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს და ამ ძალის ორგანიზაციაში სოციალისტურმა პარტიამ მოწინავე როლი უნდა ითამაშოს—ამბობდნენ ბლიუზის მომხრეები. არავითარი დათმობა დიქტატორებს, მაგრამ არ უნდა დავეციყოთ, რომ მათი წარმოშობის საგარეო მიზეზი ინგლისის საფრანგეთის ომის შემდეგი პერიოდის იმპერიალიზმია, რომლის ამბიციების გასანადგურებლად ჩვენ ომის პერსპექტივას ვერ შევუთვრებდით. ჩვენნი ვალის, წაჯექვხით და ხელი შევუწყობთ ერთა შორის დახვედრას—უხასუხებდნენ მეორენი. ასეთი იყო ტენდენციათა დაპირისპირების მთავარი ლეიტ მოტივი. სამი დღის განმავლობაში პარტიამ მტერს და მოყვარეს უჩვენა თავისი ორგანიზაციული სიძლიერე, იდეათა და აზრითა სიმდიდრე და სიძლიერე, ურყევი დისციპლინა და შინა სტრუქტურის ღრმა დემოკრატიულობა. ცხადია, ასეთი ორგანიზაციის მთლიანობას ტენდენციათა უმნიშვნელო განსხვავე-

ბა ვერ შეარყევდა და კონგრესმაც მოახდინა ორი მიმდინარეობის გონიერი სინთეზი. მან გარკვევით აღიარა, რომ თუ ის მზად არის მხარი დაუჭიროს ყოველგვარ ღონისძიებას ძალით სტატუს-კვოს და რღვევის წინააღმდეგ, ის მზად არის აგრეთვე ხელი შეუწყოს სადაო საკითხების მოლაპარაკებით და ურთიერთ ნდობის გზით გადაწყვეტას და კაცობრიობის ომის ფსიქოზიდან განთავისუფლებას. კონგრესი ხაზს უსვამს მოცემულ პირობებში სამხედრო ძლიერების აუცილებლობას. მაგრამ ის მას აძლევს განსაზღვრულს, ასე ვსთქვათ. თავდაცვის დანიშნულებას და აყენებს მას უფლების სამსახურში. ამდენად ის ახდენს არა მარტო კონგრესზე წარმოდგენილ ორი მთავარი მიმდინარეობის სინთეზს. არამედ, აგრეთვე, აახლოებს და ერთიმეორეს სამსახურში აყენებს ძალას და უფლებას, როგორც საერთაშორისო სამართლის გადამწყვეტ ფაქტორებს. ნანტის კონგრესმა უუფავოდ ზოგი მავნე უქიდურესობა, დადგა სწორ სოციალისტური და დემოკრატიული ნიდაბეგ, რითაც დიდი სამსახური გაუწია პარტიას, ერს, სახელმწიფოს.

კონგრესმა წმინდა სოციალისტური ხაზი ბოლომდე ლოღოვურად გაატარა. მის წინაშე იდგა სხვა პარტიებთან და, კერძოდ, კომუნისტებთან დამოკიდებულების საკითხი. სახალხო ფრენტის ჩამოყალიბების შემდეგ სოციალისტური პარტიის პოლიტიკა საბედისწეროდ გაიბზარა. კომუნისტებთან იდეოლოგიური ნათესაობის ხელშეწყობა ფსიქოზმა პარტიისათვის კატასტროფული ხასიათი მიიღო. მათ შორის პოლიტიკური სახლვარი თითქოს წაიშალა, რაც პარტიას ორი მიმართულებით ემუქრებოდა ერთი მხრით, კომუნისტური საზიზღრობით დამეოთხალი წევრები პარტიის ნელ ნელა სცილდებოდნენ, მეორე მხრით იდეოლოგიურ ბურსში გახვეული მუშაკები კომუნისტური დემოკრატიის მსხვერპლი ხდებოდნენ და მისი გაუღების ქვეშ ექცეოდნენ. ამ გარემოებამ დაასუსტა სოციალისტური პარტიის როგორც იდეოლოგიურად, ისე რიცხობრივად. 1936 წლიდან დაწყებული აღმასტა თანდათან შეიცვალა უკან დაქანებით და პარტია თითქმის 1936 წლის წინა დონემდე დავიდა რიცხობრივად. ცხადია, ამის მიზეზი იდეოლოგიურ-პოლიტიკური გაუარკვევლობა იყო და მისი გაფანტვის საჭიროება პირველად ყოვლისა და უფრო მწვავედ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა იგრძნეს. კომუნისტური პარტია მიმართავდა ყველა მუხანათურ ზომებს სოციალისტური ორგანიზაციების დასაპყრობად, თუ სოციალისტური ოჯახში ამ მტერს ვერ ცნობილობდნენ. მართალია, კომუნისტებთან მუდმივი კონტაქტი, საგოგორდიაციო კომისიის სახით, დიდი ხანია მიიშალა. მაგრამ რუსი მუშის ზურგზე ანადინი მილონების წყალობით შექმნილი პარკომუნისტური ორგანიზაციები განაგრძობდნენ თავიანთ დამარღვეველ მუშაობას გულუბრყვილო სოციალისტთა შორის და ხშირად მათი საშუალებით. ასე-

თი ორგანიზაციებია: საფრანგეთის სახალხო ურთიერთ დახმარებელი საზოგადოება, ზავი და თავისუფლება, პროლეტარიატის ერთიანი პარტია, ომისა და ფაშისმის წინააღმდეგ ქალთა გაერთიანება. ქალწულთა წრე, საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება და სხ. ლუარის ფედერაცია კონგრესზე წარსდგა ამ ორგანიზაციებში სოციალისტების მონაწილეობის აღკვეთის კოტეგორიული წინააღმდეგობით. მოწინააღმდეგენი მოითხოვდნენ მის სარგებლოეუციო კომისიისათვის გადაცემას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისი შესწორება. შეკეთება და, ბოლოს, შინაარსიდან დაკლავ, მაგრამ საკითხი იმ-

დენად მომწიფებული და ცხადი აღმოჩნდა, რომ კონგრესმა მათი მოთხოვნა უკუაგლო და დიდი უკმაყოფილებით—5.490 მანდატით, 1.771 ის წინააღმდეგ ლუარის წინადადება თავისად გაიხიდა და კომუნისტების პროგნოზაციებს პარტიის რიგებში ბოლო მოუღო. პარტიამ გარკვეული იდეოლოგიური პოლიტიკური საზღვარი გაავლო იმ დაჯგუფებასთან, რომლისათვის დემოკრატია და პროლეტარიატი მუდამ ერთმანალოეი ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდნენ განსაზღვრული სექტანტური მიზნით.

306.

წ მ კ ლ ქ ი ს წ მ კ

«კავკაზი» (გაზეთი რასაკვირველია) ბერლინში გადაბარებულა და იქ განაგრძობს თავის «სახანებლო» მოღვაწეობას. ახალ ადგილს არსებითად არაფერი ახალი არ მოჰყოლია. იგივე თანამშრომლები, იგივე გაცვეთილი და ორგული აზრები. უკანასკნელ ნომერში (4) ნიშანში ისევ საბრალო ჩენიაა ამოღებული. წაქცეულს აღარ სცემენო ნათქვამია, მარა «კავკაზი» ს «ჯეღტლემენები» აბა სხვას ვის რას გაუბედავენ, თუ არა წაქცეულს! ქვეყანა დაიპყრეს, დაყვეს, დაანაწილეს. აპყრეს ყოველივე უფლებიდა და დანაშავეე ყოველივე ამაში თურმე თვითონ ყოფილა! და უშავებია კი ის, რაც დააშავე იმ ცხვარმა რომელიც შესკვამა მეღვმა: რუხი ფერი გაქვსო. ჯერ იყოს და ყურები გამოგვიქედეს—ერთა თვითგამორკვევა იმარჯვებსო. ახლა კი ავალიშვილი ასე ანუჯე შებს «კავკაზი»-ს მკითხველებს: ჩხეხი-სლოვაკიის ბედი კიდევ არ ნიშნავს რომ ყველა პატარა ერების ბედი ასეთი იქნებაო. მოდი და გაუგე ამ გზა-ანებულ ხალხს როდის ამბობენ სიმართლეს!

ამავე ნომერში გამოჩნდნენ სომხებიც, რომლებსაც ცნობილი სომხური გაზეთი «რაჩი» ეძახის «მოუწიფებლებს», «უქკუოებს» და კითხულობს: «ვისი სახელით ლაპარაკობენ ეს მალაქასობები! ნუ თუ არ ყავთ მამა და დედა რომ მგავთ ყურები აუწიონ!» «მალაქასობები» კი ავტორიტეტულად აცხადებენ: «ჩვენ ოსმალეთთან და სპარსეთთან ყოველგვარ ტერიტორიალურ პრეტენზიებზე ხელი უნდა ავიღოთო». ბამატსაც ხომ მეტი არა უნდა რა! აქეთ ქართველი ბამატისტები ოსმალეთს მესხეთ-ართვის მიართმევენ, იქით კიდევ სომეხი ბამატისტები სომხეთის ნაწილს, ბამატი წარჩინებს მიიღებს და სომხის «მალაქასობებს» ყურს აუწევენ თუ უკანა ნაწილს გაუწითლებენ—ეს კი მას არც ისე ენაღვლება.

ნაღვლიანობა ეტყობა გუშინ სოციალისტს, ხოლო დღეს ფაშისტ კანტემერს. ის ცდილობს დაჯეროს ოსმალეთის მთავრობა, რომ მისი ინტერესი სულაც არ მოითხოვს დემოკრატიულ ქვეყნებთან დაკავშირებას. მარა, როგორც ვიცით, ოსმალეთმა არ იღო ყურად ამ ბებრენი პოლიტიკოსის რჩევა და უქვე შეუქავეშირდა ინგლისს, კანტემერი მაინც არ ჰპარავს იმედს—ადრე თუ გვიან ოსმალეთი და-

იჭერს ადგილს თავის ბუნებრივ მეგობრებთან შორისო საბრალო რუნეგატი! ერთგულობს რაც უნუ ძლია, მარა თუ არ უჯერებენ რა მისი ბრალია...

ამავე ნომერში ვკითხულობთ: «დაბეჯითებით ამბობდნენ ნ. ჟორდანიას შერევიკური პარტიიდან გადის, ორგანიზაციებს მისს და პარტია მეორე ინტერნაციონალიდან გადისო. არც ერთი ეს არ გამართლდაო»—სწერს გულდაწყვეტილი «კავკაზი». მეღვას რაც აგონდებოდა ის ესისმრებოდაო რომ იტყვიან სწორედ ესაა. «კავკაზს» ძალიან უნდა დანაშავეე ეს მოხდეს და მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა, მარა გვეშინია. დიდხანს მოუწევეს ცდა, ვიდრე ეს მისი სიზმარი ახდებოდეს...

კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი ნომერი (5). აქ მოთხებულა ამირბერბე გორის ჯგერების წერილი 26 მაისის შესახებ. ეტყობა «კავკაზს»-ს ჯგუფი საბოლოოთ დასდგომია კავკასიის ისეთ ორიენტაციას, რომელიც სრულიად უარპყვებს ცალკე რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. ეს აპარად მოსჩანს აღნიშნული წერილიდან, რომელიც თავდება ასე: «მაშ ასე—გაუმარჯოს ახალი კავკასიის მაცოცხლებელ და აღმაღვეველ ერებს, გაუმარჯოს კავკასიის ხალხებს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ კავკასიას!»

როგორც ხედავთ—«გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს» სადაც გაქრა და მისი ადგილი დაიჭირა—«გაუმარჯოს დამოუკიდებელ კავკასიას!» მართალია, ისინი არც წინეთ მალაქდენ თავის აქეთ-ჩენ ლტოლვას. მარა ასე გარკვევით დღემდის ეს არისად უთქვამთ. ამ ვაჰბატონებმა დაიწყეს იმით, რომ ჯერ გააჩქარეს ბათუმის ოლქი, შემდეგ გამოაცხადეს კავკასიის კუთვნილება თვით ბათუმში, ახლა, როგორც სჩანს, თვით საქართველოზედაც აუღიათ ხელი! რომ ამირბერბე-ავალიშვილებს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა არც აინტერესებდათ და არც ეპიტრევილობათ—ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით. მარა თუ ასე გატიტვლდებოდნენ ეს კი აღარ გვეგონა ეს გატიტვლება კიდევ უფრო აშკარა ხდება, როცა ამავე ნომერში ვკითხულობთ შემდეგს: «ბათუმის საკითხში ბამატი იმ თვალსაზრისზე სდგას, რომ ბათუმში, როგორც კავკასიის დიდი ბოლანს, შეკავში-



რებული ნავთსადენით ბაქოსთან—არის კუთვნილებდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აზერბაიჯანისაც, მისსაც და სამხედროსაც... აი რა საცოდინო საბუთით ცდილობენ ეს უბადრუქნი ბათუმი საქართველოს წაპყლოჯონ!

მარა, როგორც ეტყობა, მისი აღმატებულება ბამატი არც ამით კმაყოფილდება და აბზახეთსაც ითხოვს. «ჩრდილო-კავკასიის წადილი აბზახეთის შემოერთების—სწერს «კავკაზი»—არაგისთვის საიდუმლოებებია არ შეადგენს»-ო. ...«კავკასიაში—განჯრძობს ის—არის რამდენიმე მწვევე ტერიტორია ლური საკითხი (ამთ შორის აბზახეთის არ არის, სხვათა შორის. სხვებზე უძნელესი). ეს საკითხები ითხოვენ ლოიალურ და ყველა მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტას. გამოყენება სასარგებლოთ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის იმისთვის. რომ სამუდამოდ ვახადო დროებითი კონიუქტურა, რომელსაც ესა თუ ის კავკასიის ხალხი ჩასთვლიდა თავის თავზე ძალმომრებლად—არის ჩვენი თვალსაზრისით დანაშაული კავკასიის ხალხების წინაშე» დასხ.

ახრი ამ არაქია არის ის, რომ აბზახეთი თურმე ეკუთვნის «მწვევე ტერიტორიალურ საკითხებს», საქართველოს უსარგებლოა მისთვის «ასასარგებლო დროებითი კონიუქტურით» აბზახეთის მიმართ. სურს ეს «დროებითი სამუდამოთ აქციოს» და ამით ის სჩადის «დანაშაულს კავკასიის ხალხების წინაშე!» ბამატის ფარეშებმა კარგად იციან. რომ საქართველოს არას დროს არ უსარგებელია ვითომდა მისთვის «ასასარგებლო კონიუქტურით», იციან რომ აბზახეთმა თვითონ. თავის ნებაყოფლობით, აირჩია გზა საქართველოსთან კავშირისა, იციან რომ მისმა კანონიერმა წარმომადგენლობამ თითქმის ერთმანდ მიიღო სამართალ დადგენილება და სპეციალური კომისიის საშვალებით, მათი თანაწილი რიცხვის მონაწილეობით შემუშავებულ იქნა ორივე მხარისათვის მისაღები ფორმულა, რომელიც შემდეგ შეტანილი იქნა საქართველოს კონსტიტუციაში. იციან ყოველივე ეს და თუ მაინც შესაძლებლად სცნობენ აბზახეთის საკითხის სადათო გამოცხადებას—ეს იმნავს რომ ეს ხალხი მართლაც ყოველივე სახელგარს გადაცდა. მარა ნუ დაივიწყებენ რომ ჩვენი ხალხი არც ისე დაცემულია, რომ ამ ვიციანდარების ბოროტ ზრახვებს გასავალი მისცეს...

«ქართლოსი» ს უკავასწელ ნომერში (19-23) დაბეჭდილია მოკლე ცნობა სათურით: «ეროვნული გაერთიანება». რადგან ამ ცნობას შეუძლია მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს—ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად საჭიროა მივგანჩნა «ქართლოსი»-ს ცნობაში საჭირო შესწორება შევიტანოთ. «ქართლოს»-მა კარგად იცის რომ იმ მოლაპარაკებას, რომელსაც ის ასახელებს მიხნად ჰქონდა მოვლენა ისეთი გაერთიანება, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებდენ ყველა ის ჯგუფები, რომლებიც დგანან საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიის მთლიანობის ნიადაგზე. სამწუხაროდ ასეთი გაერთიანება არ მოხდა. ამიტომ «ქართლოსი»-ს განცხადება—«შეიქნა ეროვნული გაერთიანება სოც. ბანაკის გარეშე»-ო—არც არსებითად და არც ფორმალურად მართალი არ არის. ფორმალურად იმით რომ, როგორც ვთქვით, საერთო გაერთიანება არ მოხდა. გაერთიანდა მხოლოდ ორი მცირე ჯგუფი «ქართლოსი»-ს და «მომაველი»-ს. რაც შეეხება არსებითად—შეუძლებელია დავტყუდოთ «ეროვნული გაერთიანება» ისეთ გაერთიანებას, რომელშიდაც მონაწილეობდაც მონაწილე არ იქნება საქართველოს სოცდემოკრ. პარტია.

თიანება სოც. ბანაკის გარეშე»-ო—არც არსებითად და არც ფორმალურად მართალი არ არის. ფორმალურად იმით რომ, როგორც ვთქვით, საერთო გაერთიანება არ მოხდა. გაერთიანდა მხოლოდ ორი მცირე ჯგუფი «ქართლოსი»-ს და «მომაველი»-ს. რაც შეეხება არსებითად—შეუძლებელია დავტყუდოთ «ეროვნული გაერთიანება» ისეთ გაერთიანებას, რომელშიდაც მონაწილე არ იქნება საქართველოს სოცდემოკრ. პარტია.

გვ. ურბაძე.

ს ა ზ რ ბ ა ლ მ ა ბ რ ი ვ ი მ ო მ კ რ ა მ ბ ა ს ა მ პ ა რ თ ე ლ ო შ ი

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

მ ი ძ ა ე ვ ა გ ა ვ ი წ ი დ ე ბ ა .

ბრწყინვალე წოდების ნაწილი სამხედრო სამსახურს დაეწავა. ნაწილმა რაკი მუშაობა არ იცოდა თავის ძვირფასი მამულების მოვლა ეთაქილებოდა, მას მეგზავ სომხებსა და ვაჟრებს მცირე ფასათ უთმობდა. ბანკში ავირავებდა, ფულს ქვიფობაში ფლანგვიდა...

მაიკვივან ორ კლასიკურ მაგალითს. 1885 წლიდან ქუთაისში ცნობიერობდა რუსეთიდან გადმოსახლებული პრინცი ოლდენბურგის, რომელსაც მეუღლეთ ყავდა, ლამაზი ჯადაოების ასული დადიანის ნაცოლავე. პრინცი იყო მდიდარი, დღიან ღამიანა ქვიფობდა ქართველი თავდა-ახნაურებით გარშემოკრებილი. უმთავრესი მისი საქმიეო იყო «ფერმის» ბალი და რიონის პირას «ცარსკი დომის» ეზო. აქ რიონის პირას გაშლილ გველ სუფრას უხსდენ ასამდე თავდა-ახნაურობა. მათი დედა-ასულებით, შორი-ახლოს სამხედრო მუსიკა უკრავდა, გათენებამდე ლინი, დროს სკამბი იყო, გათენების ხახს მივლ ქურჭელს. თეფშებს, ჭიქებს, ბოთლებს რიონში ისვროდენ, ვალმა ვინ გაუწევსო და მდინარეს მიქონდა! შემდეგ ხმლებით, სატევრებით სკამებს ჩხედენ და როცა მაგარ სკამის სახელურს აძტევიან ორათ გადაატყებოდა, პრინცისაგან 25 მანათს საჩუქრათ ღებებოდენ. როცა სკამები, მთელი სუფრა მდინარეს მიქონდა. მისამახებრებით ქათმებს. ბატებს, ინდოურებს მოაყვანიებდენ, თითო-თითოს ქალებს მისცემდენ. რიონს ვალმა ბუტ გააფრენო—ეტყოდენ და აქრიალებულ ქათმა ბუტ იხებენ მდინარე ფართხალი მიადგენდენ... ყველა ამას მეორე, მესამე დღეს პრინცი იხდიდა. ზამთარში ქვიფობა «ცარსკი დომის» დიდ ზალაში გძელდებოდა. მთელი ღამის ქვიფობა დილას მუსიკაზე, დაფა-ზურნაზე ცეკვათამაშით თავდებოდა. ვინ იცის რამდენი პატოსანინი ახალგაზდა ქალიშვილი იმხვევრპლა ამ ქვიფებმა და რამდენი ღირსიული ქალ-უკუნი ამ წუმბეში შთაინთქა. ეს ქვიფი რამდენიმე წელს გრძელდებოდა, მას ჩვენი თავადობა ბაძავდა, რაკი დელი არ ქონდენ, მამულებს ბანკში ავირავებდენ და ქვიფობაში ფლანგვიდენ... ერთმა გურიის თავადმა ალექსანდრე მაჭუტაძემ თავის შესანიშნავი მიწები მთლათ ბანკში და-



ავირავა, იქიდან აღებული ფული არავითარ წარმოებას არ მოახმარა. დღიან ღამიანა ქვიფში შეუჭამა, ბოლოს თავის მოურავების შესანახი, სამათხოვროთ განდა.

1890 წლიდან ქართლ-კახეთის თვად-ახნაურობა უმთავრესად ქვიფობდა. მათი მამა-პაპული ქონება სომხის ჩარჩებს, ბურჟუაზიას მიქონდა. იყო მთელი ჯგუფი ყმაწვილ-კაცების, რომლებიც დღიან-ღამიანა ქვიფობდნენ. ერთ ასეთ ჯგუფს მე ვიცნობდი ძმებ ლელო და ილო ანდრონიკაშვილის და კოლა ბარათაშვილის მეთაურობით. ეს თვადები სოფლებში შემოდგომაზე პურსა და ღვინოს გაყიდდნენ, თბილისში ჩამოვიდოდნენ, ქვიფს შეუღლებოდნენ. როცა ფული გამოეღოდათ, ბანკში მამულებს დააგირავებდნენ. ქვიფი იცოდნენ ვაუთავებელი, — ჩხუბი საშინელი. იყვენ მესანიშნავი თვად-ტანადნი, ხმლით, სატყეარით, დამბაჩით შევიარლებული. მთელი ქალაქი შიშში იყო ჩავდებულნი. მათ ვერც პოლიცია და მონღელ ვეფერს შეკადრებდა-შებედავდა. რასაც მოისურვებდნენ, იმას იზამდნენ. რუსეთიდან ერთი ღამიანი არტილერი ქალი ჩამოვიდა. თეატრის სცენაზე წახეს. მოიწონეს, როცა თეატრი გათავდა. მოიტაცეს. ერთ დღეს მეტელს უბიძანეს ქუჩაზე კი არა, გოლოვინის ბულვარის ქვეფენილზე გაგასვირინო! შეშინებულმა მეტელმა სახახლის წინ ცხენები გარეკა. დამფრთხალი მოქალაქენი თავველ მოვლევდნენი გაბროდენ! ვა, მამავ, გიყვინა თავს უშველოთ, დაგვენოცავსო! — გაიძახოდნენ! ამ დროს გუბერნატორათ ქართველი შერვაშიძე იყო, მათთან უსიამოვნებას ვერადგოდა.

ბოლოს, როცა მოქვიფენი ყოველ სახლვარს გადაცდენ და როცა კოჯორიდან ეტლებით თბილისში მოქროდნენ, გზაზე მთავრობამ შევადგა ყახახ-რუსების ცხენოსანი მხედრები და ალყა შემოარტყმული «კამენდატის» საპატრიო საყარაულოში მიაბიძანეს, საიდუმლო შემდეგ რუსეთში გადასახლეს.

ეს ორი მავალით სავსებით ახასიაღებს ჩვენი უსაქმური ფეოდალების ყოფა-ცხოვრებას.

სილიბისტრო ჯიბლაძე და ამხანაგები.

1889 წელს სილიბისტრო ჯიბლაძე დაბრუნდა თბილისში გამასწორებელ რაზმიდან. ის ზაქარია ურბინიანის ბინაზე ინახულეს სემენარიის შეგორებმა: ბავშვობის მეგობარმა ვენჯია ნინოშვილმა. ნოე ქორდანიამ და საიდუმლო წრის ხელმძღვანელმა ჯგუფმა. სილიბისტრო ცოცხლათ გამოიყურებოდა, მარა ძლიერ გამოცვლილიყო, დასუსტებული. იმ სილიბისტროს აღარ გავდა სემენარიაში რომ ვიცნობდითო, ამბობდენ მისი ბავშვობის მეგობრები.

მეგობრებმა ცოტაოდენი ფული გამოიღეს და დასასვენებლათ აბასთუმანში გაგზავნეს, საიდანაც სილიბისტრო მოღონიერებული დაბრუნდა.

ამავე წელს «ივერიაში» იბეჭდებოდა ნოე ქორდანიას წერილები მასწავლებელ სიმონ ჯორბენაძის საკამათით, თუ სად ვაინსნას ბიბლიოთეკა — ლანჩხუთით. თუ ნიკოთით. ამავე ლავრენტო წულაძე (დათიკო ვერმიკაშვილი) «ივერიაში» უკასურებეს: თქვენ მეოცნებე ხალხი ხართ! ჯერ წიგნები, სამკით-

ხველსათვის ბინა შეიძინეთ, მერე, სად გახსნათ, იმაზე იმსჯელეთ! ამ სავანზე წერილების ბეჭდვა გახეთში ვაგრძელო და შემდეგ დაბრუნდნენ. წერათ ნოე ქორდანიას ლავრენტი წულაძე ამბავებიანო.

1890 წელს ნოე ქორდანიამ გაათავა სემენარია და, რაკი სემენარიის გაფიცვის გამო მას ყოფა-ქცევანი 4 კონდა, ის იძულებული შეიქნა ვარშავაში წასულიყო. აქ ნოე გაცნო მარქსისტულ ლიტერატურას და შეუღდა «ნაროდნიკულ» აზრებთან მის შეფარდება-შეფასებას. აქვე იყვენ ქართველი ახალგაზდები, რომელთაც ქართული სათვისტომო წრე ქონდათ. ამათში იყო: შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), მიქაბერიძე და სხვები...

1892 წელს ნოე ქორდანია დაბრუნდა თბილისში ავთმყოფობის გამო. აქ ნოეს შემოეხვედნენ მისი ნაცნობ-მეგობრები და დაუწყეს ახალი აზრების გამოკითხვა. ნოემ გააცნო მათ მარქსიზმის შინაარსი, რამდენთაც მან მისი შინაარსის გაგება მოასწრო. «ნაროდნიკობა» შემცდარდა მიარჩია, ეს უტოპიაა, მარა მარქსიზმის შესწავლას დიდი დრო უნდა, მისი მეცნიერული აზრების შეთვისება მომზადებას თხოვულსა, მისი პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება მარტო ქადაგებით არ შეიძლება. ამას დრო უნდა, ამის ნიადაგი მრეწველობა-აღებ მიცემობაა, ეს მომავლის საქმეა, მარა ამისთვის მზადება კი ახლავე შეიძლება.

ახალგაზდობა, რომელიც ქვეშაობრტების ძიებით იყო გატაცებული და ოთხმოციდან ოთხმოცდაათ წლამდე «ნაროდნიკულ» წრეებში იხრდებოდა, მოინდობა ამ «მარქსიზმის» გაგება, მისი მეთოდით ცხოვრებაში გზის გაკაფვა.

ნოემ თბილისში ინახებოდა სემენარიის მის მეგობრები. ეგვარც ინგოროყავნ, რომელიც ამ დროს «ივერია» ში თავის მოთხრობებს ბეჭდავდა. გააცნო ნოეს რუსეთიდან ჩამოსული ერთი ახალგაზდა — კარლო ხნიძე, რომელსაც მიხალით ვაღვროვის წიგნებთან ერთად მარქსისტ ქონდა და ცხოვრებაში გზის საძიებლათ ორთავეს იშველიებდა.

თბილისიდან ნოე გაემგზავრა გურიისში, სურბისში ისიდორე რამიშვილთან, სადაც ის სემენარიის შემდეგ მასწავლებლობდა, კვირე-უქმე დღეებში ხალხს ჩვენ მწირობობის წიგნებს უკითხავდა. მათ შინაარს უხსნიდა, გზის გაკეთებას ურჩევდა. მარჩიელ-მატყუარების წინააღმდეგე ქადაგებდა, ხალხში ძმობა სიყვარულობას სთესვიდა, საიდუმლო წრეებს აღგენდა. ასევე მუშაობდენ გურიაში მასწავლებლები: არსენ წითლიძე, ლავრენტი წულაძე. გიგო შარაშიძე, დიმიტრი კალანდარიშვილი. სიმონ ჯორბენაძე და სხვები. რომ ხალხთან ახლოს მდგარო იყვენ და მეტი საქმე გაეკეთებინათ, სილიბისტრო ჯიბლაძემ, ისიდორე რამიშვილმა და არსენ წითლიძემ გურიის შუა ალაგას, სოფელ აკეთში გახსნეს ბიბლიოთეკა. მავაროვეს წიგნები თბილისში; ამ სოფლის ეკლესია ქურობდენ თავისი ოდა სამკითხველს უფასოთ დაუთმო.

შემდეგში არსენ წითლიძე მამასახლისათ დადგა, შკოლის აგებას, გზის გაკეთებას შეუდგა, ცარცვან-გლეჯის მოსპობას, მექრთამეობის, ვაიძვერა სასა-



მართლოს—მწერლების ალაგმას შეეცადა. რომ ხალხი ნამდვილ ქრისტიანობას შეეფიცოდა. ღორმუცელა მღვდლები და დიაკვნები ამხილა. ტირილის, ქველხის, უბომო თრობის, ქორწილში მეტი ხარჯების მოსპობას შეუღდა. ამ მიზნით «ივერიის» რედაქციით დაიწყო ლავრენტი წულუაბე გამოიყვანეს მღვდლათ აკურთხეს, რომ ხალხში მაღალი ზნე დაეცვათ; ის აგრეთვე სამრევლო სკოლაში მასწავლებლათ დააყენეს. ყოველგვარ საამხანაგო, საზოგადო საქმის წამოწყება, კოლპერატივის განსნა, აბრეშუმის საზოგადოების დაარსება იყო მათი მთავარი საზრუნავი. ი. მაშინდელი «ნაროდნიკული» წრეში დახდილი ჩვენი ახალგაზდა სემენარიელების მოქმედება. ხალხის გამოსაღვიძებლათ და მათდა სასარგებლოთ წარმოებულა. აი რა საქმიანობაში ჩაბმული ნახა ვარ შვილიან დაბრუნებულმა ნ. ქორდანიაშვილმა მისი ახალგაზდა მეგობრები.

კახეთში ამ დროს მუშაობს დ. ნადირაშვილი (დ. მაჩხანელი) — «ნაროდნიკი», რომელიც მაჩხანის დედა ამხანაგობის დაარსებას ცდილობს. ხალხის გამოსაღვიძებლათ იღვწის, «ივერიაში» «მშურ სიტყვას» ბეჭდავს.

დიდი მუშაობა სწარმოებდა აგრეთვე თბილისში. 1892 წ. თბილისში ოლა ბეჟანაშვილის ასულის აღკაპის ბიზნაჲ შეიკრიბენ: ეგნატე ინგოროყვა, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევეგენი ვაჭაძე—აგრანოში, ლადო დარჩიაშვილი, გიორგი ქიქაშვილი, ვასო ცაბაძე. დავით გავლაროვილი.

მეორეული კვლეა შეიკრიბენ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზობა ერთმანეთთან დასაახლოებლათ. საღამო გამართა ელისაბედის ქუჩაზე. ას კაცამდე ექიმებოდი. იყვენ: ნატალია მატიაშვილი, დანდუროვა, ნიკოლოზა, ნიკოლოზ მატიაშვილი, ანა მელიქოვა, მიქელიანი, თადეოსიანი, ლორის მელიქოვი, ეგნატე ნინოშვილი, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე. ევეგენი ვაჭაძე, ნიკო კვარამაძე, სომხებმა მოიყვანეს თურქეთიდან გამოქცეული სომხები, რომელთაც უსურვებს იქ თურქებზე გამარჯვება—აქ კი ქართველებთან მშობა-ერთობა.

საღამოები იმართებოდა ბანკეტების სახით პოლიციის ნებართვით, მარა საღამო ძლიერ თავისუფალი იყო და «სიტყვებში» ვახშამზე მშობა-ერთობაზე ლაპარაკობდენ. ერთ ასეთ საღამოზე ეგნატე ნინოშვილის დაქინებით ოლა ბეჟანაშვილისამ (პოეტო «ვანდგილი») მაშინ სრულიად ახალგაზდა გოგონამ ყურბიანა გაწითლებულმა სთქვა: გაუმარჯოს ყველა ერების მშობა-ერთობას! რამაც მთელი ხალხის ტუმისცემა «ვაშა» გამოიწვია. აქ სილიბისტრო, ეგნატე და სხვები ვერ გამოვიდოდენ. შენიშნავდენ.

ნაროდნიკების მდგომარეობა.

1890 წელს «ნაროდნიკების» მდგომარეობა სრულიად აღარ გავდა იმ მდგომარეობას. როცა ისინი სამოქმედო საქართველოს ახლათ გამოლოცებულ ხალხში საბრძოლველათ გაიწვიენ, აღდგომიდანებში ამოქმედდენ. 1870 წლიდან ისინი ასე თუ ისე შეუმჩნევლათ მოქმედებდენ. მთავრობა უმთავრესათ სე-

პარტიულ, ეროვნულ მოძრაობას აღევნებდა თავალყურს.

ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ «ნაროდნიკების» სასტიკი დევნა დაიწყო რუსეთში და მისი სუსხი ეკვაპისასა მობედა და უმთავრესათ საქართველოს—თბილისსა და გორს. მთავრობამ მოახერხა «ნაროდნიკულ» ზოგიერთ ჯგუფში თავისი კაცი გაეჩინა—პროვოკატორი ყოლოდა. ამანართ მან შესძლო რამოდენიმე პირის შეპყრობა. მათი ვატიმბირება—კატორღში გაგზავნა. ეს დევნა დაიწყო მეფის მოკვლიდან და გაძლიერდა, როცა სილიბისტრო ჯიბლაძემ რექტორი თმით კიბეზე ითრია და 1885 წელს და 1886 წელს ლადიაშვილმა სატყვეობი იგივე რექტორი მოკლა.

დიმიტრი ყიფიანის მოსვენების დროს მომხდარმა დემონსტრაციამ მთავრობა გააბოროტა და «ნაროდნიკული» მოძრაობა მიიბუტლა მიქრა. ზოგი წევრები 1885 წლიდან სახლვარგარეთ გაიხიზნენ ოსმალეთით ვახტანგ გურიელის შემწეობით, ზოგიც კი მბრძოლი იყვენ გაგზავნილი პროვოკატორ ოისულიანის დაბეზღებით, ზოგმაც კერძო ცხოვრება დაიწყო.

1890 წლიდან «ნაროდნიკულ» ჯგუფების წევრებს ჩვეულება: გ. ზნაიგოიჩი შავი ქვის მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარეა, კირილე ღორთქიანიძე ქუთ. ბანკის მოხელეა, მოსე ქიქოძე ქუთ. ვექლია. ისიდორე ქიქოძე გურიანში «აქციის» მოხელეა, პეტრე წულუაბე უიათურაში შავი ქვის მწარმოებელია, სოფრომ მგალობლიშვილი მასწავლებელია, სიკო სალარიძე სახლვარგარეთ გაბეჭდულია. მასორ კანდელაკი სახლვარგარეთიდან დაბრუნებული მასწავლებელია, ალექსანდრე ხახანაშვილი მისკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორია. ალექსანდრე ვარსვენიშვილი ქუთაისის თავდაზნაურობის სკოლის მასწავლებელია, ალექსანდრე ყაზბეგი დაავითმუყფებულია, ლუკა რაზიქაშვილი იივერიაში პოეტებს სწავს. შოა მღვინდი «ჯუჯულში» ლექსებით ნორჩ თაობას გვიჩვენს, ციბირიდან ახლათ დაბრუნებული სტეფანე ჟურელაშვილი. გიორგი ლასიშვილი «ივერიაში» მი გიგო ყიფიანისთან მუშაობენ. ივანე ჯაბადარი ვექლია. ნიკო ხიხანაშვილი მოძრიგებელი მოსამართლეა. ანტონ ფურცველიძე თავდაზნაურობის ბანკის მამულეების დაშლა სტეფანე, გოლა ჩიტაძე გარდაიცვალა. შაქრო ბილანიშვილი გაზეთებში მუშაობს. ნიკო ნიკოლაძე საზოგადო მოღვაწეობას ეწევა, ფოთით ვეროპასთან კავშირის გაბნას ფიქრობს, ვარლამ ჩერქიანიშვილი ლონდონშია—ანარქისტობს, ხაქარია უიქინაძე ხალხში წიგნებს ავრცელებს.

განახლებული ცხოვრება მის წიაღში ახალ მეთაურებს ამზადებს.

ამ დროს, 1892 წ. მთელ საქართველოში ერთადერთი გაზეთი «ივერია» გამოდის, რომელსაც თბილისისა და ქუთაისის თავდაზნაურობის ბანკის განცხადებები ინახავს. მთელ საქართველოში მხოლოდ ათასი ცალი «ივერია» იბეჭდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

ვლახა მგვლაძე.

ქალთა შრომა საპროფესიო

საკვირველი იქნებოდა, რომ მოსკოვის ადგილობრივ საავტოსტრასის ქალთა წრეებშიც არ აღმოჩინა თითო-ორი პირი, რომელიც «კომუნისტის», ფურცლებზე ჩასურათებული სასკოლო გამოცდებოდნენ და მოსკოვს ქება დიდებით შეამკობდნენ!

ქალთა შრომის პირობების ნამდვილ ვითარებას, ჩვენში ქალთა საერთო გაკვირებას. მყვირალა, სადემონსტრაციოდ გამოცხობილი წერილებით ვერ დაფარავენ.

როცა ესა თუ ის ახალგაზდა სამეცნიერო დარგში განსაკუთრებულ ნიჭს იჩენს, ან კიდევ მფრინავი ხდება, თუ ტექნიკოსი, ცხადია ამით ერის კულტურული დოვლათი ძლიერდება, მაგრამ ამაში მოსკოვს არავითარი დამახასიათებელი არ მიუღვდის. ის მხოლოდ მოწიბვს ერის შინაგან ძალთა სიძლიერეს, მძიმე ისტორიულ გარემოშიც დაუღალავ სწრაფვას საკუთარ ცხოველმყოფელობის შესანარჩუნებლად და როგორღა ვერაგის დაუშვრეტელობას.

საბჭოთა პრესა იყენებს კერძო შემთხვევებს, იკვებნის, რომ ახალმა მართვლობამ ისეთი პირობები შექმნა, სადაც შესაძლებელია ნიჭიერთა დაწინაურება; დაბალ-მშრომელთა მასების გაბედნიერება. ამა შეხედვით, ქალთა წრიდან მფრინავებიც და დეპუტატებიც კი გამოვიდნენო! «საბჭოთა ქალი არა მარტო კანონით, არამედ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში უკვე დიდ ხანია სავსებით გაუთანასწორდა მამაკაცსა», ამბობს ქართული კომუნისტი. მაგრამ ზოგ რჩეულთა პრივილეგიური მდგომარეობა არავითარ უმღავთს ამოვლელ ქალთა მშრომელ მასებს. მათი უმწეო მდგომარეობა და შრომის ექსპლუატაცია ნათელი ხდება, თუ ოღნავ გაცნობით იმ პაპანწყევტას, რომელსაც ისინი განიცდიან ფაბრიკა-ქარხნებში, თუ მინდორ-ველებზე.

ქართველი ქალები თავიდანვე ვერ აცდნენ სტახანოვურ შეჯიბრების სისტემას, მომეტებულ შრომის გაწევას. საქმარისია რამოდენიმე მაგალითის მოყვანა: მე 18 პარტიულ ყრილობისათვის სტახანოვულ თებრა გოგოლაშვილს აღებულ პქანებათ ვალდებულება 110 პროცენტით, მას კი შეუსრულებია 124 პროცენტით და 200 მეტრის ნაცვლად 1083 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი დაუმზადებია. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ განსაზღვრულ დროში, როცა დასახლებულ ქალმა ზედმეტი შრომა გასწავა, ოღონო არ იღვრებოდა, წელსვე ხელს არ იღვამდა. ის ვატაცებელი იყო ქარხნის ადმინისტრაციის ყურადღება დაემსახურებინა. დაუმწათ, მან ეს ნებაყოფლობით ჩაიდინა. მერე? აღარავინ იყო «შრომის სამოთხეში», რომ მისთვის აესხნა ქალის ავტობუსისათვის გადაჭარბებული შრომის გაწვევის მავნებლობა? პირიქით მას გაზეთში იხსენიებენ. აქებენ. სახემწიფოს მოთხოვნაზე იმდენად დიდია და დანაკვეთების შესრულება იმდენად არ იომებს, რომ რა მნიშვნელობა აქვს, ვილაც ქართველი ქალი წელში გაწევს და თუნდაც სული ამოხდეს! მისი თავ-

დადება გმირობად გამოცხადებულია. შეიძლება ხელა-ზეგ ორდონიც დაჰკიდონ გულზე. განა ეს საქმარისი არაა?!

მსოველ ნინო მარკოზაშვილს სახუქარო დაუმზადებია პარტიის ყრილობისათვის: ერთი თვის გეგმა შეუსრულებია 12 პროცენტით. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოვულ ლიდი ჩურტიქს სეზონში მოუჭრებია 4.716 კილოგრამი ჩაი, მუხრა კვანჭურთაქს 4.716 კილოგრამი თევზაქს 5.000 კილოგრამი წიგნაქსი წლის განმავლობაში 900 შრომის დღე აქვს აღნიშნული.

ერთ ნიჭიერად დაწერილ რომანში («ლელო» — «მნათობი») ათ ფურცელზე გაქნილია და მხატვრული ფერადობით შემკულია, თუ როგორი ჯიბრია გამართული ჩიხს საჭრეფში პირველობის მოსაპოვებლად. ათიოდ ნახევრად ფეხშიველი გოგონის ქალები პაპანაქება სიცხეში ერთი მეორე ვეცილებიან, თუ ვინ მოჰკრეფს მეტს. ერთი სოფელი მეორეს ამაოცხებს და ხელიდან აცლის დროშას. დამარცხებული რაზმავს ძალებს მის დასაბრუნებლად. ამ დაუთავებულ კვიდილში აღარც შრომის დღეა განსაზღვრული, აღარც ნორმა. თბილისიდან ჩამოსულა პოეტი, კორესპოდენტი, მას მხატვრებია დეკორაციოდ ბრიგადირი, არტელის თავმჯდომარე, «კომ იახეკის» მდივანი და ადგილობრივი ბობოლები. თითველი მითვანი ახალისებს მომწევეთ, ზოგი ვაზეთში ჩაადგება, ზოგი ლეკით შეამკობს და ზოგიც კი ჩასაურათ ხატებს. ყველა ესენი თავის საქმეს აკეთებენ და ყველა ამით ქართველი ქალი არჩენს თავისი შრომით.

ქართველი მშრომელი ქალები ისეთივე უფლებდა აყრილი არიან. როგორც მამაკაცები, როგორც პირველნი, ისე მეორენი განიცდიან მძიმე სოციალ-პოლიტიკურ პირობებისაგან გამოწვეულ ტყვიულებს.

ირ. ხარშიშვილი,

ს ა ი ნ ტ ბ ა რ ე ს ო ლ ე მ ც ი ა

ქართველ ინჟინერთა საზოგადოების მოწვევით 4 ივნისს, ლასკახის დარბაზში კ. კანდლაქმა წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება: «საქართველოს ეკონომიური განვითარების გზები». კ. კანდლაქი ცნობილი ლექტორია, მისი ლექციები მუდამ და ყოველთვის სავსე აუდიტორიას იხიდავს. ახლაც, რასაკვირველია, დარბაზი სავსე იყო, რომელიც მას უდიდესის ყურადღებით უსმენდა.

ლექტორმა პირველ ყოვლისა აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტენიკას ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის და თან უღალა დებულეებით დაამტკიცა, რომ როგორც ტენიკური ცოდნა და ტენიკური გაუმჯობესობანი, ისე კაპიტალი, ჩვენში უფრო დასავლეთ ევროპიდან შემოიღოდა, ვინემ რუსეთიდან. ცნობილია რომ რუსეთი საერთოდ კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, მუდამ კოლონიალურ პოლიტიკას აწარმოებდა.

მაგრამ, რადგან რუსეთი ღარიბი იყო კაპიტალით და თან როგორც თვითონ, ისე საქართველო ნედლი მასალის ქვეყანა იყო—მისი კოლონ. პოლიტიკაც დაიდად განსხვავდებოდა ევროპის, მაგ. ინგლისის დაჯილდოებული პოლიტიკიდან მაშინ როცა დიდი ბრიტანეთი საქართვედა ნედლ მასალას, რომლის დასამუშავებლად მას შექონდა კოლონიებში თუ დამოკიდებულ გავრცელებულ ტენზიკა და კაპიტალი.—რუსეთს თვითონ ჰქონდა ნედლი მასალა საქმარისი და მის დასამუშავებლად თვითონ ეძებდა კაპიტალს უცხოეთში, რის გამო თვითონ წარმოადგენდა ევროპის ფინანსური კაპიტალის «კოლონიას». ამიტომ ყველა მოთავარი წარმოებანი ჩვენში შექმნილი იყო ევროპის თუ ადგილობრივი კაპიტალის მიერ. თვით ერთად-ერთი ამიერ კავკასიის რკინის ზხაჯცკი კერძო (ინგლისურ) კაპიტალით იყო გაშენებული. ჩვენებური ნაწარმოების უდიდესი ნაწილი—კერძო, ტყე, აბრეშუმი, მატყლი, სი მიწი და სხ. გადიოდა უმთავრესად უცხოეთში, ხოლო ყოველივე, რაც სასიყდელი იყო, უნდა გვეყიდა რუსეთიდან. ეს გარემოება აფერხებდა ფრანგს, რაც, რასაკვირველია, მეტად უშლიდა ხელს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. ერთი სიტყვით. საქართველო აინტერესებდა რუსეთს უმთავრესად, როგორც სტრატეგიული ბაზა თავის იმპერიალის ტური ექსპანსიისათვის და ბაზარი თავის მდარე ხარისხის საქონლის გასასაღებლად. ეს პოლიტიკა არ-სდებოდა არც კომუნისტური რუსეთის ჩვენი ბა-ტონობის დროს შეცვლილა. აქ ლექტორი ემყარებოდა მრავალ მასალას თვით საბჭოთა ხელისუფლები მიერ გამოქვეყნებულს, საიდანაც აწკარად სჩანს, რომ იმ 75 პროცენტიდან მთელი შემოსავლისა, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლები განკარგულე-ბაში გადადის—უდიდესი ნაწილი იხარჯება თვით რუსეთის რესპუბლიკის ეკონომიურ აღორძინებაზე. შემოსავლის იმ მცირე ნაწილიდანაც, რომელსაც ის ადგილობრივ ხარჯავს—შენდება უმთავრესად ის, რაც ესპორტება თვით რუსეთს, ხოლო რაც ადგი-ლობრივ მცხოვრებთათვის არის აუცილებელი—თუ სულ მივიწყებულ არა, საგრძობლად მაინც ჩამო-რჩენილია. კერძოთ, სრულებით მოსისო საქართვე-ლოს სატრანზიტო მნიშვნელობა. მაშინ, როცა სა-ქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობას და მის სატრანზიტო მნიშვნელობას სხვა პირობებში შექმ-ლი საქართველო გადაეჭკია მოსახლერ ქვეყნებში სათვის იმით, რაც არის კოლანდია და ბელგია თა-ვის ცნობილი პორტებით ცენტრალურ ევროპისა-თვის.

ჩვენში არსებობენ ყველა ელემენტებიო—სკე-ნის ლექტორი—როგორც მრეწველობისათვის ისე, სოფლის მეურნეობის აყვავების. მარა ეს შესაძლე-ბელი იქნება მხოლოდ თავისუფალ განვითარების პირობებში. პატარა ქვეყნების განვითარების ისტა-რია—დანის, ბელგიის, შვეიცის, შვეიცარიის და სხ.—მას გვეუბნება, რომ მათ ეკონომიურ განვი-თარებას ხელს უწყობდა ერთის მხრით ამ მრების პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო მეორეს მხრით შინაური თავისუფალი ინსტიტუტები. ლექ-

ტორის ღრმა რწმენით, არც ოტორიტარული წყო-ბილება პოლიტიკაში და არც ავტარკია ეკონომი-კაში საქართველოს ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით არც მისაღები და არც სასარგებ-ლო. მოხსენება სავეს იყო ფაქტური მასალებით, შედარება-განსხვავებებით ევროპის პატარა ქვეყნე-ბთან და სხ. კერძოთ; ლექტორის მიერ მოყვანილი ციფრები მეურნეობა-აღმშენებლობისა ჩვენი ქვეყ-ნის დღევანდელი ვითარებიდან, აშკარად უარყო ფენ იმ ზღაპრებს. თითქოს ჩვენი ქვეყანა წარმოებე-ბოდა და ნაყოფიერების მხრივ ძალიან წინ წაწეული-ყოს. ლექტორი აღნიშნავდა იმ გაუგონარ ამბავს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ისაგებარჯა 180 მილიარდზე მეტი მრეწველობაში იყ, რომ გარ-ემე სესხი არ აღუია და სამართლიანად შენიშნავს, რომ, ცხადია, ეს თანხა უნდა დაგროვილიყო მშრო-მელი ხალხის მძიმე ექსპლუატაციით, რაც მით უფ-რო სავეალაოა, რომ მიღწეების ნაყოფი სრულად არ შეეფერება მოსახლეობის მიერ გაღებულ ასეთ დიდა მსგებვლსო. საგანთო რეცენზიაში შეუძლე-ბელია დაახლოვებითაც კი აღნიშვნა იმ საინტერე-სო დებულებების და მათი დამასაბუთებელი ციფ-რებისა, რომელიც ლექტორმა მოიყვანა. მეტად სას-ურველი იქნებოდა ამ ლექტორის განმეორება რუსულ ენაზე. ეს იქნებოდა საუკეთესო პასუხი იმ რუს-მწე-რლების, რომლებიც ასე უსაბუთოდ დღემდე იმეო-რებენ თითქოს რუსეთმა წინეთაც ბევრი დახარჯა საქართველოზე და დღესაც მომეტებულად ხარჯავ-დეს. ეს ერთი მხრით. მეორე მხრით დაარწმუნებდა ურწმუნთაც, რომ საქართველოს თავისუფლად შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლად თავის საკუ-თარი ეკონომიური რესურსებით. რომ ის ამ მხრივ არავის მოწყალეებას არ საჭიროებს და სხ. და სხ.

ბ. შ.

მ ი მ გ რ ა ც ი ა შ ი

მარტის რიცხვებში ჩვენ სიამოვნება გვექონდა, პირველად მოგვესმინა ცამეტი წლის ეთერი რუხა-ძის რესიტალი გავოს დარბაზში.

ღრმა გრძობით და სიფაქიზით მან დაუკრა მო-ცარტის, ბახის, მელდენსენის, ვებერისა და შოფე-ნის მუსიკა, რომელიც დამსწრე საზოგადოებას ძლიერ მოეწონა. ამ ნიჭით დაჯილდოებულ ბავს თან, ახასიათებს ნებისყოფა შრომის უღარესი სიყვარ-ული. ის დღე და ღამე უცნებობს საკუთარ მომა-ვალზე, როგორ განაეითაროს, გააფართოვოს თავის ცოდნა. მისი პირადი და ბუნებრივი თვისებები იძ-ლევიან იმის საბუტს, რომ ის მიაღწევს დასახულ მიზანს.

უკანასკნელად პარიზის ქუჩებში, «აფიშებზე», წაიკითხავდით, რომ ექვსი წლი-ნახევრის ეთერი და-ღავა მონაწილეობას მიიღებს პლეიელის ცნობილ

დარბაზში გამობრუნდნენ არტიტულ დილახეო. ფრანგულ ერთ ცნობილ ხელოვნების უფროსადში ამის გამო წავიკითხეთ ალტაეცხული შეფასება და მისდამი მიძღვნილი თბილი სიტყვები. ქართველებს მოგვეცა საშვალეება პატარა ეთერის ცვევით დამტბარბიყავით ტუბერკულოზით დაავადებულთა სასარგებლოთ გამართულ საღამოს. მის მიერ შესრულებულ ცვევაში ნარნარი ელფერით მოსჩანდა მსუბუქი ტექნიკა, რითმის ცოდნა. სტილი და გრაციული მიმოხვრა. ყველა ამ თვისებათა სრული გავლადი განვლათა მომავალში მისცემს პატარა ეთერის საშვალეებას შეითვისოს როგორც კლასიკური, ისე ახალი სკოლის ცვევა.

ორივე ქალიშვილს გულწრფელად უსურვებთ წარმატებას.

3.

26 მაისი პარიზში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 21 წლის თავის აღსანიშნავად 26 მაისს, საღამოს 9 საათზე, ინდუსტრიის საზოგადოების დარბაზში თავი მოიყარა პარიზის და მის მიდამოებში მცხოვრებ ქართველობამ. დარბაზი მორთული იყო ეროვნული დროშებით. ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარე ბ ნ ვ. ლამბაშიძემ მიმართა უცხო საზოგადოებას ფრანგულ ენაზე და გააცნო მათ ამ დღის მნიშვნელობა. შემდეგ ქართულად მიულოცა დამსწრეთ 26 მაისი და უსურვა მალე სამშობლოში დაბრუნება. ქართულმა ხორამ იმღერა «დიდება» და ფრანგული ეროვნული ჰიმნი «მარსელიეზა». ორივე საუცხოვოდ იქნა შესრულებული. მისალაცი სიტყვები წარმოსთქვეს სომხეთის, აზერბაიჯანის, მთის, უკრაინის და კახაელების წარმომადგენლებმა. შემდეგ ქართულმა ხორამ იმღერა ქართული სიმღერები. ეს თეორიულად არის, რომ ეს ახლად შემდგარი ხორა გამოდის რომელსაც ახალი სიმღერებით შეუვსია თავისი რეპერტუარი და ეტყობა დიდი წარმატება, საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა.

პიანინოზე დაუკრა ეთერი რუხაძემ «აბესალომ და ეთერიდან» და ფალიაშვილის «ახალი ლეკური». ხოროს აკომპანიმენტს უკეთებდა პიანინოზე მისი ხელმძღვანელი ბ-ნი პონოპარტენკო.

დაბლოს ვაიმართა ტრადიციული ქართული და ევროპული ცეკვა. საზოგადოება დიდხანს მხიარულობდა და ნასიამოვნები დაიშალა.

X.

პაკლო ჩხეიძის წლის თავი

კვირას, 11 ივნისს, პერ-ლაშეს სააფლაოზე, მრავალ საზოგადოების თანადსწრებით გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი კარლო ჩხეიძის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად. სიტყვები წარმოსთქვეს ავ. ჩხენკელმა და შ. სკამაჩიანიშვილმა.

წილილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორად!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა მათ. ვინც პირადად, თუ წერილობით თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემი ძვირფასი მამის ჯამულეული სიკოს ძე მენაღარიშვილის გარდაცვალების გამო.

ამასთან ერთად გაახლებთ მაჩაჩიძის სახელის აღსანიშნავად ას ფრანკს (100 ფრ.) «ტუბერკულოზით ავითმყოფთა დამხმარე კომიტეტი» ს სასარგებლოდ.

ხ. მენაღარიშვილი.

«მშობლის ხმა»-ს შემდეგი № გამოცემა ხეკტემბერში.

შეგვიძის გასწვრება

ვლ. მგელაძის წერილში: «საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში»—დაბეჭდილია: დომენტი უარაშიძე, უნდა იყოს: დომენტი შარაშიძე. ნ. ლომაურის მამა სარატოვეში, უნდა იყოს: სიკო სალარიძის მამა, სიკო დიასამიძე, უნდა იყოს ნიკო დიასამიძე. დაბეჭდილია: თბილისის სემინარიაში შევიდენ: არსენ წითლიძე, გიგო შარაშიძე, ლავრენტი წულაძე—ეს პირები სემენარიაში არ ყოფილან.

ახალი წიგნი

გამოვიდა ამხ. გრ. ურბაძის წიგნი:
საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში

ფასი პარიზში 10 ფრ. უცხოეთში 15 ფრ.

შეძენა შეიძლება შემდეგი მისამართით:

M r Ketadze. 5, rue des Gobelins, Paris.

„ბრძოლის ხმა“-ს მხსველიცია

სთხოვს ხელის მომწერთ მათზე დარჩენილი გაზეთის ფული გამოგზავნონ შემდეგი მისამართით:

M-r Er ad z e

10. rue Jules Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France.

ამავე მისამართით შეიძლება გაზეთის გამოწერა.